# საქართველოს ქალი

8
1989

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა

645/2
1989/2



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურჯანაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ქვანია, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეჭირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ქ. თბილისი. „ვარკეთილი 3“ საცხოვრებელი სახლი; მეოთხეზე — მეგობრობის პარკი რუსთავში. დავით იაკობაშვილის ფოტოები

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

# ჩემი

თავდაპირველად 36-ე პროფტექსასწავლებლის ახლახან კურსდამთავრებული მოსწავლეები გავიცანი: ლელა კაპანაძე, ნინო გრძელიშვილი, ლალი ბზიკაძე, ნანა წიკლაური, თამილა დემეტრაშვილი, მაია მოსაშვილი, ეკა შავბერუაშვილი, ლია გალდავაძე, ნათია და ჯული ოთარაშვილები.

დილის ცვლა უკვე მთავრდებოდა და სასაუბროდ ცვლის უფროსის ოთახში მოვიყარეთ თავი. დიალოგი არ გაგვჭირვებია, ჩვენ ხომ ასაკით არც იმდენად განვსხვავდებოდით ერთმანეთისაგან და ამიტომ საფიქრალიც თითქმის ერთნაირი გვქონდა.

სასურველ თემაზე ისე უშუალოდ და ბუნებრივად გადავედით, რომ ვერც კი ვიგრძენით, როდის და როგორ დავიწყეთ საუბარი. თითქოს გოგონებს ამ საკითხებზე თავადაც დიდი ხანია უნდოდათ ეთქვათ სათქმელი.

სულ ცოტა ხნის წინ პროფტექსასწავლებლის გამოსაშვები გამოცდების ციებ-ცხელებამ ჩაიარა. ახლა საწარმოო პრაქტიკაზე არიან, მალე კი დამოუკიდებელი, მკაცრი და ვნებათაღელვით სავსე ცხოვრება დაიწყება, მუშათა კლასის სრულუფლებიანი წარმომადგენლები გახდებიან და მათზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, რაც მთავარია, მომავალი — მათიც, ჩვენიც, ყველასი, მთელი საქართველოსი...

იციან ეს? ესმით ეს? თუ ერთი სული ჰქონდათ გამოცდები მოეთავებინათ, ხოლო ხვალისათვის ხვალ იზრუნებდნენ.

არა, გოგონებს ერთი კითხვაც არ დაუტოვებიათ უპასუხოდ.

რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ეს სასწავლებელი? ზოგი ამბობს, რომ გაზეთში წაიკითხა განცხადება, ზოგს ვილაცამ ურჩია, ზოგს კერვა უყვარდა ბავშვობიდან, ზოგის საბუთები კი სკოლიდან ისე გადმოგზავნეს, რომ მისთვის არაფერი უკითხავთ. მაგრამ ახლა უკმაყოფილო არავინ არის, პირიქით, მოსწონთ თავიანთი პროფესია, მკერავები, მქსოველები არიან.

— სკოლის საგნებს როგორ ამზადებდით? — ვეკითხები სამწლიანი ჯგუფის გოგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოსათვის



დ. იაკობაშვილის ფოტოები

ოსტატი ნელი ბალათურია,
მოსწავლეები ც. გველესიანი და ბ. გიგოლაევა

სპეციალობაში წარჩინებული მაია მოსაშვილი



— მე სკოლაშიც არ ვსწავლობდი ისე, როგორც აქ, — ეცინება ნათიას და დასძენს, — ჩვენი დირექტორი ისეთი მკაცრია...

ეთერ სოლომონიას საინტერესო შრომითი ბიოგრაფია ბავშვებმა კარგად იციან. იციან, რომ მათმა დირექტორმა ყველაფერი საწარმოდან დაიწყო...

სასწავლებელში თეორიული მეცადინეობის დამთავრების შემდეგ თბილისის აბრეშუმის სამკერვალო-საფეიქრო საწარმოო გაერთიანებაში მოვიდნენ პრაქტიკაზე. მუშები გულთბილად დახვდნენ. თუმცა საქმეს მიუჩვეველ გოგონებს ისე თამამად მაინც ვერ ანდობდნენ დაზგებს. მერე თანდათან გაიწაფეს ხელი. ახლა არავისი დახმარება აღარ სჭირდებათ, ცდილობენ გამოცდილ მკერავებს არაფერში ჩამორჩნენ. მაგრამ ხელისშემშლელი პირობები მაინც არსებობს. დაზგები ძველია. მწყობრიდან მალე გამოდის და ზოგჯერ უმოქმედოდ დგას. ამასობაში საქმე გროვდება და მერე ჩქარობენ, ასე იპარება წუნი. წუნიანმა პროდუქციამ კი რა დღეში ჩაგვაგდო, გოგონებმა კარგად იციან. შესვენების დროს სასადილოში გადიან, თუმცა...

— იქ მარტო ხაჭოს თუ ვიყიდით და ლიმონათს, ზოგჯერ სახლიდან მოგვაქვს სადილი.

— რატომ?

— არ იცით, რატომ? — უკანვე მიბრუნებენ კითხვას. მუშათა სასადილოში ზოგჯერ ასეა.

მუშაობის პირობებს უჩივიან გოგონები. წამახალისებელი თითქმის არაფერიაო, გულდაწყვეტილი ამბობს ნინო და სხვებიც ეთანხმებიან. აღიარებენ, რომ ასე მუშაობა არც ისეთი სიამოვნებაა, მაგრამ თუ ყველა თავის საქმეს კარგად გააკეთებს, დამლაგებლიდან დაწყებული ხელმძღვანელების ჩათვლით, მაშინ ყველაფერი სახალისოც იქნება და სასიამოვნოც. მუშაობის ეს ელემენტარული პირობები კი მომავალი კადრების დასტატებისათვის არის საჭირო, რადგან ნებისმიერი პროფესია მხოლოდ მაშინ არის საინტერესოც და საყვარელიც, როცა მისი კარგი ოსტატი ხარ.

გოგონებმა იციან, რომ დღეს კარგი სპეციალისტი, მკერავი იქნება იგი თუ ზეინკალი, არავის ჩამო-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

უვარდება, რადგან იმისათვის, რომ განათლებული ადამიანი იყო, სულაც არ არის აუცილებელი უმაღლესის დამთავრება; რომ დღეს ყველა გონებაგახსნილია და კეთილსინდისიერი შრომით ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მთავარია, გჯეროდეს, რომ შენ შენი ხალხის, შენი ქვეყნის მომავლისათვის იღვწი.

— ახლა ჩვენ ხომ ბევრს ვლაპარაკობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ თუ არ ვიმუშავეთ, თუ საქმე არ ვაკეთეთ, ისე არაფერი გამოვა. აი, ხვალიდან რომ ჩემი საქართველო დამოუკიდებელი იყოს, მეცოდინება, რომ მისი პატრონი მე ვარ და ჩემს შრომაზე, ჩემს პატიოსნებაზეა დამოკიდებული მისი ძლიერებაც და ბედიც, მაგრამ, მოდით, ყველაფერი ისევ ჩვენგან დავიწყოთ. ჯერ ჩვენ ვიქცეთ ისეთ ადამიანებად, რომლებიც დამოუკიდებელ სამშობლოს ღირსეულად მოუვლიან, — ამბობს ლია და სიჩუმე დგება წუთით. ვგრძნობ, ყველა ამ ერთ ფრაზაზე ფიქრობს: ჩემი საქართველო რომ დამოუკიდებელი იყოს...

მერე ყველა პრობლემა ამის გარშემო დატრიალდა, — სწავლისაც, მუშაობისაც, ცხოვრებისაც, დემოგრაფიულიც...

გოგონებს შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვისაც საწარმოში მუშაობა გადაუწყვეტია, ისეთებიც, ვისაც ჩვენი ბედნიერი მომავლის მთავარ ამოსავლად ცოდნა, განათლება. მიაჩნია, ისეთებიც, ვინც საქართველოს ძლიერებას ქართულ სოფლებსა და შვილთა სიმრავლეში ხედავს. და იმის მიუხედავად, რომ ცხოვრებაში ამ თითქმის გამოუცდელმა გოგონებმა ბევრი არაფერი იციან გაჭირვებაზე, სიდუხჭირეზე, მაინც თამამად, პირდაპირ უყურებენ სატკივარს თვალებში, რადგან ხვდებიან, რომ ახლა მხოლოდ ეს არის ყველაზე სწორი.

— მაშინ მითხარით, თითოეული თქვენგანი რის გაკეთებას აპირებს იმისათვის, რომ...

მე საწარმოში დავრჩები, — აცხადებს ნანა, — ახლა ისე არიან საქმის მიფუჩეჩებას მიჩვეულნი, რომ თბილისის შეკერილს სათოფეზე არავინ იკარებს. ჩვენც რამდენჯერ გაგვიშვია წუნი, მაგრამ ასე აღარ იქნება, მე მუდამ ვიფიქრებ იმაზე, რომ ეს ჩემს ხალხს სჭირდება.

— მე მათემატიკურზე უნდა ჩავაბარო, ვმეცადინეობ. იგი ყველაზე დიდი გატაცებაა ჩემთვის. მე მგონია, ასე უფრო ბევრის გაკეთებას შევძლებ და ამ საქმითაც საჭირო ვიქნები საქართველოსთვის, — ამბობს მაია.

— მე ჩემი პროფილით ტექნიკუმში უნდა ვისწავლო და მერე ისევ საწარმოში დავბრუნდები, — ეს ლელაა.

— სად დაბრუნდები, აქ თუ...

— ახალციხეში, მე ახალციხელი ვარ.

— კარგი სპეციალისტი იქ უფრო საჭირო იქნება.

— ალბათ...

# მე პატარა



ჭალადიდის სასოფლო საბჭოში სამი ათასზე მეტი მცხოვრებია და, ცხადია, ერთი სკოლამდელი დაწესებულება საკმარისი არ იქნებოდა. ამიტომ, ჭალადიდის ბაგა-ბაღის გარდა, ამ სასოფლო საბჭოს სხვა სოფლებშიც (საგვიჩაოსა და ძველ სალვამიჩაოში) გაიხსნა საბავშვო ბაღები.

ცოცხალი, საქმიანი ახალგაზრდა კაცია საბჭოს თავმჯდომარე მზევარ მაშავა. იგი ჭალადიდის მკვიდრია და, ალბათ, რამდენადმე ამითაც აიხსნება ის განსაკუთრებული მზრუნველობა, რასაც მზევარი იჩენს თანასოფლელებისა და მათი შვილების მიმართ.

მოგეხსენებათ, შარშანდელმა წყალდიდობამ რა უბედურება დაატეხა თავს ჭალადიდელებს. სტიქიამ იავარჰყო ბაგა-ბაღის ძველი შენობაც, წყალმა წალეკა ყველაფერი. სასოფლო საბჭომ და აქაურმა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელსაც იური ლატარია თავკაცობს, თავიანთ ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაისახეს ბაგა-ბაღის ახალი შენობის აგება და სულ რაღაც ერთ წელიწადში წარმატებით დააგვირგვინეს საქმე. ბაგა-ბაღის მშენებლობა 270 ათასი მანეთი დაუჯდა მეურნეობას. ამასთან, 10 ათასი მანეთის ინვენტარიც შეუძინეს და იგი კეთილმოწყობილ სასწავლო-საალმზრდელო კერად აქციეს.

შენობა, მართლაც რომ ჩინებულია. ჯერ მარტო მისი თაღოვანი შესასვლელი რად ღირს! ასოციაციით, ალბათ, სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის სასახლეს წარმოიდგენთ აქაურობის იერსახის ხილვით და უნებლიედ ჩაგესმით გალაკტიონის სტრიქონებიც: „აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება, ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება...“

ჭალადიდელი თავკაცები ამასაც არ დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ, შენ რას აპირებ, ეკა? — ვეკითხები ჩემს გვერდით ჩუმად მჯდომ გოგონას.

— დეკრეტში გასვლას, — მეუბნება ღიმილით და დასძენს, — ჩემი ქმარი ამბობს, შვიდი შვილი უნდა გვყავდესო...

ეკა ორიოდე თვეში დედა გახდება.

ლალი, თამილა და მაიაც გათხოვილები არიან, ამიტომ თავიანთი დამატებითი პრობლემებიც აწუხებთ. უმეტესად მაინც უბინაობას უჩივიან. ეკას მეუღლე ახალგაზრდული ბინათმშენებლობის აღრიცხვაზე დგას, ახლა კი ოროთახიან ბინაში ცხოვრობენ მშობლებთან ერთად.

ლალი და მისი მეუღლე სოხუმელები არიან, სწავლას რომ მორჩებიან, ისევ სოხუმში დაბრუნდებიან.

მაია და თამილა უფრო კონკრეტულად და სერიოზულად მსჯელობენ ოჯახზე, მის პრობლემებზე. მცირეშვილიანობის მთავარ მიზეზად უბინაობას და მატერიალურ ხელმოკლეობას თვლიან. ამიტომ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ ამაზე უფრო საქმიანად უნდა იზრუნოს, ახალგაზრდა დედებს მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ. კარგია, რომ შეეძლებათ ბავშვები სამ წლამდე მაინც აღზარდონ თავიანთი მეთვალყურეობით და მერე საბავშვო ბაღში მიაბარონ.

საუბარი მე წამოვიწყე, მაგრამ მერე ყველაფერი უჩემოდ წარიმართა. დიალოგში მათი ხელმძღვანელებიც, პროფტექსასწავლებლის მასწავლებლები ლალი ხახუტაშვილი და ევა მათიაშვილიც ჩაებნენ. გოგონები ისხდნენ და თავიანთ მომავალზე, მოსალოდნელ სირთულეებზე ფიქრობდნენ. მთელი რიგი პრობლემის მიუხედავად მაინც შეთანხმდნენ, რომ თითოეული მათგანი ოთხ შვილზე ნაკლებს არ გააჩენდა, ხოლო თუ შეძლებდნენ, მეტსაც... იმაზე შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომა და განათლება იქნებოდა მათი ყველაზე დიდი სამსახური სამშობლოს მომავალი კეთილდღეობისათვის.

— ამას თითქოს ყველა ერთბაშად მივხვდით. მივხვდით, რომ ჩვენი თავის პატრონი ჩვენა ვართ და გამოსავალიც ისევ ჩვენშია. ეს იმ საღამოს დავინახეთ, იმ საშინელი ცხრა აპრილის ღამეს...

იმედიანი წამოვედი მათგან. იმედიანი და ამაყი იმის გამო, რომ ეს 17-20 წლის გოგონები, რომელთაც ჯერ კიდევ გუშინ მოსწავლეები ერქვათ, ფიქრობენ ის უკეთილშობილესი მიზანი აასრულონ, მათი თანატოლების სისხლი რომ დასჭირდა.

იმედიანი და ამაყი — იმიტომაც, რომ ამბობდნენ, ახლა ყველაზე დიდი საქმე ჩვენ, ქართველმა ქალებმა უნდა გავაკეთოთ ჩვენს წილადაც და იქ დაღუპული გოგონების წილადაცო; და კიდევ იმიტომ, რომ ეს იყო ახალგაზრდა ქართველი მუშათა კლასის მრწამსი და შეგნება.

რიტა ბაინდურაშვილი

# ქართველი ვარ...



დავით იაკობაშვილის ფოტოები

ჯერდნენ და კეთილმოაწყეს ბაგა-ბაღის მახლობელი ტერიტორია: მთლიანად მოაასფალტეს იგი, ბარათაშვილის ქუჩიდან შესასვლელთან ხის ბოგირი კაპიტალური ხიდით შეცვალეს, ამ ზაფხულს ბაგა-ბაღის ეზოში ააგებენ მარტივი ტიპის საცურაო აუზს... ერთი სიტყვით, საბჭოს თავმჯდომარე და მეურნეობის დირექტორი ყოველმხრივ ხელსაყრელ პირობებს უქმნიან პედაგოგებს ბავშვთა სწავლებისა და აღზრდისათვის; მასწავლებლებიც უნარიანად, მიზანშეწონილად იყენებენ ამ დიდებულ ნივთიერ ბაზას. მათ დიდ მორალურ კმაყოფილებას ანიჭებს, ამხნევებს და შემოქმედებითი შრომისაკენ უბიძგებს რაიონისა და ადგილობრივ ხელისუფალთა ესოდენი ყურადღება, მზრუნველობა და თანადგომა, გულითადობა და კეთილმოსურნეობა.

* * *

ბაგა-ბაღის ოთხ ჯგუფში 90 ბავშვია. მანანა სესკურია, სპეციალობით გეოგრაფოსი, უკვე მეშვიდე წელიწადია უნარიანად განაგებს აღზრდის ამ პატარა და ლამაზი კერის შრომა-საქმიანობას. მას მხარში საიმედოდ უდგანან ცისანა დამენია, ნონა ქვარცხავა, ლალი ბანძელაძე და სხვა აღმზრდელ-მასწავლებლები. ენთუზიაზმი, ენერგია, რომანტიკა ნიშანდობლივად იგრძნობა კიდეც სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, ბაგა-ბაღის მთელს ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვს აქვს ადამიანთა შეცნობის საოცარი უნარი, გამახვილებული ალღო, უტყუარი გუმანი, თავისებური ინტუიცია. იგი თითქმის უშეცდომოდ ხვდება უფროსი ადამიანის ავ-კარგს და ამის კვალობაზე ამყარებს მასთან ურთიერთობას. ასეა ჭალადიდის ბაგა-ბაღშიც. დავრწმუნდი, რომ ყველა აქაურ აღმზრდელ-მასწავლებელს საკმარისად აქვს ის სითბო, რაც ესოდენ საჭიროა სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან გულითადი ურთიერთობის, მათი სწორი აღზრდისათვის, უფროს-უმცროსთა თანაცხოვრება აქ დაფუძნებულია ერთმანეთის პატივისცემასა და თანაგრძნობაზე.

მაგრამ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისათვის მარტო კეთილმოწყობილი ნივთიერი ბაზა და აღმზრდელთა სიყვარული სრულებითაც არ არის საკმარისი. ამასთან ერთად, აუცილებელია მასწავლებელთა საფუძვლიანი პედაგოგიური განათლება, კომპეტენტურობა, სიახლის გრძნობა, შემოქმედების უნარი, მაღალი ზნეობრივი, ესთეტიკური იდეალები. ჭალადიდელ აღმზრდელებს არც ამ მხრივ ეთქმით საყვედური, მათ პედაგოგიურ მოღვაწეობაში ბევრი რამ არის ორიგინალური და მისაბაძი.

...უფროსი ჯგუფის აღმზრდელი ცისანა დამენია ბავშვებს მარტო გონებრივად როდი ავითარებს და ამზადებს სკოლაში შესასვლელად. მას პატარებში უკვე საკმარისად ჩაუნერგავს შრომისმოყვარეობა, გაუღვივებია საოჯახო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ასაკისათვის შესაფერისი აქტიური მონაწილეობის სურვილი. ამ მიზნით ცისანა ბავშვებს აცნობს მოზრდილთა შრომა-საქმიანობას, დროდადრო მიჰყავს მახლობელ ფერმებსა და მინდვრებში, ასე გასინჯეთ, მაღაზიის გამყიდველის, ავტომძღოლის, ფოსტალიონის საქმიანობაც არ რჩება უყურადღებოდ, იგი ყველაფერს უხსნის შთამბეჭდავად. ბავშვები ცხოველი ინტერესით უკვირდებიან ფერმაში საქონლის კვების, მათი მოვლა-პატრონობის პროცესებს, სიმინდის ნათესის კულტივაციას. ხედავენ გამყიდველი როგორ წონის, ზომავს, გასცემს საქონელს, ფოსტალიონი რა დაკვირვებით არიგებს მოსახლეობაში ჟურნალ-გაზეთებს, წერილებს, დეპეშებს... ყოველივე ეს პატარებს აღუძრავს უფროსებისადმი წაბაძვის სურვილს. და-ძმის ნინო და ლევან მსხალაძეების დედა გახარებული ეახლა მისი შვილების აღმზრდელს და მადლობა მოახსენა იმის გამო, რომ ბავშვები უკვე ეძალებიან საოჯახო საქმიანობას.

უმარტივესი შრომის უნარ-ჩვევები ამთავითვე თანდათანობით და მტკიცედ იდგამს ფესვებს პატარებში. ამისათვის აღმზრდელები მიზანშეწონილად იყენებენ კონსტრუირებას, აპლიკაციას, ძერწვას, სხვა საქმიანობას, რასაც მუდამ თან ახლავს ემოციურობის ელემენტები.

ახლა ისიც იკითხეთ, რამდენი ლექსი, ზღაპარი, ანდაზა თუ გამოცანა უსწავლიათ ამ ცეროდენებს. უნდა მოგესმინათ კობა მაშავასათვის, როცა იგი ომახიანად, მთელი განცდით წარმოთქვამდა დუტუ მეგრელის მშვენიერ ლექსს:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი...

აღმზრდელ-მასწავლებლები სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებენ ბავშვთა მეტყველების განვითარების, მხატვრულ-ესთეტიკური და ფიზიკური სრულყოფისათვის. მათს აღმზრდელობითს საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია პირად მაგალითს, პრაქტიკულ ჩვენებას, თვალსაჩინოებას. აქ თითქმის არ გაისმის მკაცრი, კატეგორიული ტონით ნათქვამი: „არ შეიძლება!“ „არ აიღო!“ „ნუ დარბიხარ!“

საუზმის დროს ხვიჩამ პურის ნატეხი ესროლა ამხანაგს. ამანაც ფეხი გაჰკრა ძირს დავარდნილ პურს, თან გულიანად გაიცინა. ნონა მასწავლებელმა პური აიღო, სული შეუბერა, გაასუფთავა, ფაქიზად დადო მაგიდაზე, სინანულით გადახედა ბავშვებს და წყნარად, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

— ნუთუ ასეთი სიძულვილით უნდა მოვეპყრათ პურს, რომლითაც ვსაზრდოობთ, ვცოცხლობთ! ამგვარი საქციელი ხომ სისასტიკეა, მკვლელობაა და არ მინდა დავიჯერო, რომ ჩემი ხვიჩა და დათო მართლა გულქვა ბავშვები არიან, თავიანთს მარჩენალს რომ ასე ავად ეპყრობიან...

სულგანაბულმა ბავშვებმა შეამჩნიეს, უკანასკნელ სიტყვებზე მასწავლებელს როგორ აუთრთოლდა ხმა და თითქოს ცრემლიც აუკიაფდა თვალებში.

მეორე დღეს ნონა ქვარცხავამ თავის აღსაზრდელებს გამომეტყველებით წაუკითხა ი. გლინსკის შესანიშნავი მოთხრობა, სადაც ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ გრიშკამ მორჩენილი პური გადააგდო. ეს დაინახა შრომის გმირმა მატვეიმ, მოიხსნა ოქროს ვარსკვლავი, გაუწოდა ბიჭს და მკაცრად უთხრა — აჰა, ესეც გადააგდეო...

ამ ნაწარმოებმა და პედაგოგის მოკლე საუბარმა დიდი გავლენა მოახდინა ბავშვებზე, მათში გაღვივდა კაცთმოყვარეობის გრძნობა, აღიძრა სიკეთის ქმნის სურვილი, რაც მერე და მერე უფრო გაძლიერდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ დღეს კოტემ მასწავლებელს სთხოვა — ჩვენი აკვარიუმიდან ამოვიყვანოთ თევზები და რიონში გავუშვათო.

...ამგვარი სულისკვეთებით ზრდიან პატარებს ჭალადიდელი პედაგოგები.

გავა დრო და ბაჩუკები, უშანგები, ხვიჩები თუ ნინოები თამამად გავლენ ცხოვრების ფართო სარბიელზე და თან გაჰყვებათ ის ლამაზი ადამიანური თვისებები, რასაც ასე საგულდაგულოდ უნერგავდნენ მათ ამაგდარი აღმზრდელები.

**გიორგი ალავერდაშვილი**
ხობის რაიონი.

## ინტერვიუს დაწყებამდე

დიდი ხანი არაა, რედაქციამ დაიწყო წერილების ბეჭდვა რუბრიკით — კარგი შვილების კარგი მშობლები. გვინდა მკითხველს თანდათანობით გავაცნოთ ის სამაგალითო დედები და მამები, რომელთაც აღზარდეს შვილები ცოდნით, შრომითი მიღწევებით და კიდევ, ერისკაცობითა და პატრიოტიზმით გამორჩეულნი.

ნურავის ეწყინება, თუ ამ ციკლის ბეჭდვა დავიწყეთ გამყრელიძეების ოჯახით, და ახლა, ცხოვრების მოვლენათა ცვალებადობამ, პიროვნებების შეფასებამ და გადაფასებამ, თავისთავად მოგვაწოდა ახალი კანდიდატურები, ერთ-ერთი მათგანია ახალგაზრდა მინისტრი ირაკლი მენაღარაშვილი.

ირაკლი მენაღარაშვილი გავიცანით ჯერ კიდევ ნოემბრის სუსხიან დღეებში, როდესაც ის და მისი კოლეგები თავს ევლებოდნენ და მზრუნველობას არ აკლებდნენ მოშიმშილეებს. მერე 9 აპრილის მწარე დღეებში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა და ექიმების მთელმა ჯგუფმა ყველაფერი თავისი თვალით ნახეს ბრძოლის მოედანზე, უმძიმესად განიცადეს ტრაგედია და ეს ტკივილი საავადმყოფოებში გადაიტანეს...

...ეს განცდები იხატებოდა ირაკლი მენაღარაშვილის თვალებში, როცა ის ტელევიზორიდან გველაპარაკებოდა, ჩვენ გვჯეროდა მისი. ამიტომ ყოველ საღამოს გულშექანებულნი ველოდებოდით, რას გვეტყოდა ახალს...

ხალხის გუმანი არ ტყუვდება პიროვნებების შეფასებაში. თბილისის 9 აპრილის ტრაგედიამ ბევრი რამ გვასწავლა და დაგვანახა, ბევრი ვინმე გაგვაცნო, უფრო კარგად გაგვაცნო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრიც ირაკლი მენაღარაშვლი, როგორც ჭეშმარიტი მოქალაქე, როგორც ერისკაცი, რომელმაც იმ ავადმოსაგონარ დღეებში დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში. მან მაღლა ასწია ქართველი ექიმების პრესტიჟი, რომელთა ცოდნამ და თავდადებამ გააკვირვა საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტები.

# ხალხმა მოგვანდო ქვეყანა



ჩვენი რედაქციისა და მრავალათასიანი მკითხველის თხოვნით დიდ მადლობას შევაგებებთ ირაკლი მენალარაშვილის მშობლებს კარგი ინტელიგენტი შვილის აღზრდისათვის.

მადლობა თქვენ, ქალბატონო ეკატერინე და ბატონო ათინოგენ!..

ეკატერინე ჯორბენაძე ექიმია, პედიატრი, მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, პედიატრიის კათედრაზე, შემდეგ სამი შვილის დედამ სამსახურს ბავშვები არჩია და დედური ძალა და ენერგია მათ აღზრდას მოახმარა.

ათინოგენ მენალარაშვილი პროფესორია, აგროქიმიკოსი, ამჟამად პენსიონერი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების ღვაწლმოსილი აღმზრდელი...

ირაკლი ცოლშვილიანია, ჰყავს 13 წლის ვაჟი. მისი მეუღლე მარინე მიქაბერიძე ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მუშაკი.

ირაკლი მენალარაშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და მას შემდეგ სულ ხელმძღვანელ სამუშაოზეა, იყო ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი, რამდენიმე წელიწადია რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრია.

## ახლა კი ინტერვიუ

— ბატონო მინისტრო, უკვე ჩაიარა 9 აპრილის შედეგების მძიმე დღეებმა, ჩვენ აღარ გაგახსენებთ იმ შემზარავ ამბებს, გვინდა ვიცოდეთ, როგორ იქნებიან მოწამლული ავადმყოფები?

**— მოწამლულები უკვე გამოჯანმრთელდნენ, მათ განკურნებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს როგორც საბჭოთა, ისე უცხოელმა და განსაკუთრებით კი სპეციალისტებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, და როცა თქვენი ჟურნალი გამოვა, საავადმყოფოში აღარ გვეყოლება არც ერთი ავადმყოფი, ამას ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით.**

— რომელი საავადმყოფოების მედპერსონალი იბრძოდა 9 აპრილს დაშავებულთა გადასარჩენად?

**— პირველი იყო ქალაქის სასწრაფო დახმარების სამსახური, სადაც ბრძოლის ადგილზე, მამაკაცების გვერდით, მართლაც რომ გმირულად იბრძოდნენ ქალები, რომლებიც მადლობის ღირსნი არიან. შემდეგი იყო ქალაქის პირველი, მეშვიდე და მერვე საავადმყოფოები, რესპუბლიკის ცენტრალურ-კლინიკური საავადმყოფო, ბავშვთა რესპუბლიკური და მეექვსე საავადმყოფოები, მეოთხე სამმართველოს მეორე საავადმყოფო.**

**ამ საავადმყოფოების მთელმა მედპერსონალმა, დაწყებული მთავარი ექიმებიდან — დამთავრებული მედდებამდე, თავი გადადეს და პირველი დღეებიდანვე სიცოცხლე შეუნარჩუნეს დაშავებულებს. ეს არის ქართველი მედიკოსების დიდი გამარჯვება.**

## მკითხველს ნუ გაუკვირდება

— ბატონო მინისტრო, ახლა ჩვენ გვინდა ვისაუბროთ მეტად მტკივნეულ და სამომავლოდ საშიშ საკითხზე, გვინდა კითხვა შემოგიტრიალოთ — რას ფიქრობთ შიდსზე, მზადაა თუ არა თქვენი სამედიცინო სამსახური მორალურად და ტექნიკურად ამ უცნობ სენს რომ გაუმკლავდეს?

**— ამისთვის მზადება დაწყებულია, კარგი იქნება, თუ პრესაც დაგვეხმარება და მკითხველს მოამზადებს თავდასაცავად. უნდა იცოდეს ყველამ, ჩვენ პატარა ერი ვართ და უნდა გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. უნდა ვეცადოთ, არ დავუშვათ ამ საშიში და ვერაგი სენის გავრცელება ჩვენს ტერიტორიაზე.**

**ამიტომ უნდა გვეშინოდეს, გვეშინოდეს და კიდევ გვეშინოდეს... უნდა შევაგნებინოთ შვილებს, შვილიშვილებს, მეუღლეებს, თქვენს გვერდით მყოფ მამაკაცებს, გაუფრთხილდნენ თავს და გაგიფრთხილდნენ თქვენ...**

**ხაზგასმით მინდა აღვნიშნოთ, შიდსით ძირითადად ავადდებიან ჰომოსექსუალისტები, ნარკომანები და მეძავეები.**

**გარდა ამისა, საშიშროებაა სისხლით ინფექციის გადადებისა, ამიტომ უნდა ვერიდოთ დონორებსა და სისხლის შემთხვევით ანალიზებს.**

**პირველ რიგში საჭიროა ერთჯერადი შპრიცებით რესპუბლიკის მომარაგება. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ამ საკითხზე უკვე იზრუნა და მალე დაიწყება ერთჯერადი შპრიცების წარმოება თბილისში.**

მინისტრს სხვა პრობლემებიც აწუხებს — ფინანსური თუ ეკონომიკური, რაც ყველაზე მტკივნეულია ჯანმრთელობის დაცვაში...

ჩვენი დრო ამოიწურა. დროის გამონახვისთვის მადლობა გადავუხადეთ ძალზე დაკავებულ ბატონ ირაკლის. მისი სამუშაო დღე ზუსტად 9 საათზე დაიწყო, მაშინვე მიეცათ დავალებები მუშაკებს, მერე დარეკა ტელეფონმა — სასწრაფოდ თხოულობდნენ ტრავმატოლოგ სპეციალისტებს...

არ იფიქროთ მინისტრმა უყურადღებოდ დატოვოს ვინმე.

ინტერვიუ აიღო
**ირმა ჩოფიკაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უზენაესი ბედნიერება

დავით იაკობაშვილის ფოტოები.



ლალი პაციენტთან



ლალი შვილებთან



შოთა და მაშიკო

რესპუბლიკურ საავადმყოფოში შიდაკლინიკური კონფერენცია მიმდინარეობს. ყველა კარი ჩარაზულია. დიდ საკონფერენციო დარბაზში მხოლოდ ექიმები შედიან. სამარისებური სიჩუმეა ირგვლივ. კონფერენციას პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ავთანდილ ლაჭყეპიანი უძღვება. როცა ავადმყოფისთვის ქირურგიული ჩარევა გარდუვალია, ამ შემთხვევას ნეირო-ქირურგები საგანგებოდ განიხილავენ და ზედა სართულზე გზავნიან საოპერაციოდ, თერაპიულ მკურნალობას კი იქვე უნიშნავენ. ბატონი ავთანდილი დიდის გულისყურითა და რუდუნებით მუშაობს უმცროს კოლეგებთან, დიდ იმედს ამყარებს სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრის დოცენტ ლალი ღლონტზე.

ლალის სტუდენტობიდანვე იტაცებდა იმ დროს ტაბუდადებული გენეტიკა. ვერავის ვერაფერს ჰკითხავდა, ყველასათვის ყამირი იყო ეს სფერო მაშინ. პირველი ხნული მას უნდა გაევლო და მიმართულება ეპოვნა ნევროლოგიაში, და რარიგ გასახარია, ამ კვლევას იმთავითვე წარმატებით რომ გაართვა თავი. აღმოაჩინა კუნთთა პროგრესული დისტროფიის სიხშირე, გამოიკვლია მისი გამომწვევი მიზეზები, რაც ხელს უწყობს ნერვული დაავადებების ზუსტი დიაგნოზის დასმას და მისი მკურნალობის სწორ წარმართვას.

როცა სადისერტაციო თემამ მოითხოვა, სრულიად ახალგაზრდა ექიმი საქართველოს რაიონებში დაგზავნილი ანკეტების მშრალ პასუხებს როდი დასჯერდა, თავად ჩადიოდა ეჭვმიტანილ ავადმყოფებთან, რომლებიც ნერვულ სისუსტეს და სიძაბუნეს ბავშვობიდანვე უჩიოდნენ. გენეტიკას ეჭიდებოდა მაშინაც, დიდხანს ისმენდა მათ ჩივილებს (ეს თვისება დღესაც შერჩა).

1975 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კუნთთა პროგრესული დისტროფიის კლინიკურ-გენეტიკური ანალიზი საქართველოს სსრ მოსახლეობაში". ნერვული დაავადებები (და არა მარტო ნერვული) განსაკუთრებით დროულ სამედიცინო ჩარევას მოითხოვს, რათა არ ამოიწუროს ადამიანის ყველა სასიცოცხლო რეზერვი. არ გაცვდეს და არ გაილიოს მისი საარსებო არტერია — ნერვი.

და ვინ იცის, 25 წლის მანძილზე მერამდენედ ესმის ნაცნობი, მაგრამ მაინც სიხარულის მომგვრელი სიტყვები — გმადლობთ, ექი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო! — ამ მადლობას თვითონ როდი ისაკუთრებს, უშურველად ყველა კოლეგას უნაწილებს.

ბოლო წლებში განსაკუთრებით შეინიშნება ქალებში გულსისხლძარღვთა დაავადებების გაახალგაზრდავება-მოხშირება, მომრავლდა გაფანტული სკლეროზები და სხვადასხვა სიმსივნეები. მის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად საბჭოთა და იაპონელმა მკვლევარებმა ერთობლივი მუშაობით დღევანდელი ცხოვრების რიტმი და ჩვენი სავალალო ეკოლოგია მიიჩნიეს. ამ პრობლემების მოგვარებაშიც დიდია ნევროპათოლოგთა როლი და ამოცანები. კარგა ხანია ხალხში დამკვიდრდა აზრი, რომ ორმოც წელს გადაცილებულ ადამიანს საკუთარი ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი უნდა ჰყავდესო. სავალალოდ იმატა ტვინის იშემიურმა და ჰემორაგიულმა (ტვინში სისხლის ჩაქცევები) ინსულტებმა, იგი ჯერ კიდევ მე-17 მე-18 საუკუნეებში შეინიშნებოდა, მერე დადგა ეპოქა კლებისა, ახლა ისევ იმატა. ამის მიზეზად მეცნიერებს არასწორი კვება და ისევ ეკოლოგია მიაჩნიათ, ლალი და მისი კოლეგები ჰერონტოლოგებთან ერთად ამ პრობლემებზეც მუშაობენ.

ქალბატონ ლალის არასოდეს უცხოვრია უმიზნოდ და უშინაარსოდ. ბავშვობაში ანებივრებდნენ. მშობლები ცნობილი ქიმიკოსები არიან. სტუდენტობისას ეზიარა უზენაეს ბედნიერებას — დედობას. თუმცა ამას წითელი დიპლომის მიღებაში ხელი არ შეუშლია.

ჩვენმა შემაშფოთებელმა დემოგრაფიულმა მდგომარეობამ შთააგონა დედისერთას ჰყოლოდა ბევრი შვილი. ბატონ კიტა ბუაჩიძის „შავ წიგნს“ უმადლის, იმან უფრო მეტად დააკვალიანა და აუხილა თვალი ჩვენს მოსალოდნელ ავბედითობაზე, დღეს ლალის ჰყავს ოთხი შვილი, არის დაფასებული და საამაყო ქართველი ქალი. შვილებს სულაც არ შეუშლიათ მისთვის ხელი მეცნიერულ და პრაქტიკულ დაოსტატებაში, არცერთი დეკრეტული შვებულება ბოლომდე არ მიუყვანია. მეოთხე შვილი სადოქტორო დისერტაციას ამჯობინა, ამიტომ რამდენიმე წლით გადადო მისი დაცვა. შვილები მეტ ძალას და ენერგიას მატებენ ყოველგვარ საქმიანობაში. სიძნელეებიც ბევრი ჰქონდა. უძილობისაგან ერთხელ ღონეგამოცლილს ქუჩაში თვალთ დაუბნელდა და ჩაიკეცა, არავისთვის გაუმხელია, არც საყვარელი მეუღლე გაუბეზრებია ჩივილით და პრეტენზიებით.

გვერდში მუდამ ედგა მეუღლე თენგიზ დუჩიძე — პროფესიით პროვიზორი, ოჯახის ნამდვილი ბურჯი და საიმედო დასაყრდენი.

უფრო ნათლად რომ გამოვკვეთოთ ქალბატონ ლალი ღლონტის პორტრეტი, გთავაზობთ ბატონ ავთანდილ ლაჭყეპიანის ნაამბობს:

— დაუსრულებლად შემიძლია გესაუბროთ ლალიზე და არც სათქმელი შემომელევა, ყველა პიროვნული თვისებებითა და შინაგანი დისციპლინით შემკულ, ბევრისგან გამორჩეულ, მაღალი პროფესიონალიზმით, უტყუარი პედაგოგიური ალღოთი დაჯილდოებულ ამ უკეთილშობილეს ქალბატონზე. საქართველოში მან ერთ-ერთმა პირველმა „გაბედა“ და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გენეტიკაში. როცა იგი სრულიად უარყოფილი და განდევნილი იყო, ამ თემას ყველა გაურბოდა, უფრო მეტსაც გეტყვით, იგი საერთოდ არც კი ითვლებოდა მეცნიერების დარგად. ლალის ნაშრომს არც დღეს გასვლია ყავლი. ვამაყობთ მისით, ამ შესანიშნავი პრაქტიკოსი-მკურნალით, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი ნაშრომი, ჰყავს ორი ინტერნი, ნევროპათოლოგიურ კონსულტაციას უწევს რესპუბლიკური საავადმყოფოს პოლიკლინიკის ენდოკრინოლოგიურ კაბინეტს და წელიწადში ორი თვე საავადმყოფოს პოლიკლინიკაში მიწვეულია ნევროპათოლოგ-კონსულტანტად. ყოველივე ამასთან არის სამაგალითო დედა და მეუღლე. მისი უფროსი შვილები რუსუდანი და შოთა ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტები არიან. ნინო სკოლის მოსწავლეა, ნაბოლარა მიხეილი კი საბავშვო ბაღშია, ყველას ვიცნობთ. აქვე მინდა დავსძინო, რომ ლალი უკვე დაუბრუნდა სადოქტორო თემაზე მუშაობას. დიდი იმედი გვაქვს მისი.

* * *

შეგონებასავით მინდა მკითხველს ვაუწყო ლალის ეს სიტყვები:

— ვემუდარები ყველა ქართველ დედას, მომავალ დედას, დადონ ფიცი ერის წინაშე, 9 აპრილს ვერაგულად დახოცილი უმანკო ბავშვების უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის საფასურად, ერის სულისა და ძლიერების სადიდებლად, მის გადასარჩენად, გამრავლდნენ... გამოიჩინონ მეტი თვითშეგნება, გონიერება და იყოლიონ არანაკლებ სამი-ოთხი შვილი!

**ნანული ბუკია**

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

**ლია ჭავჭავაძე**

## ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲜᲔᲚᲘ

გულმოკლული და ცრემლმორეული,
კვლავ დაგიბრუნდი შენ, შორეული,
რა დრო გასულა, ვაი, რა დროა,
ვერ იცან შენი დამზრალი რტოი?

უშენოდ მარად ვიყავი კრული,
ჟამი დახრილა და კვნესის გული,
მე სახე შენი, სახება ნატვრის,
გულის ფიცარზე მიჩანს, ვით ხატი.

„ჩემი ტკივილი და ჩემი ლხენა —
ენა და ჯვარი, ჯვარი და ენა.
ნუ მომარიდებ მაგ თვალთა მზერას,
არა ვარ გერი, შვილი ვარ შენი...
რა დრო გასულა, ვაი, რა დროი,
ვერც იცან შენი დამზრალი რტოი?

## ᲕᲘᲜᲐᲪ ᲒᲘᲮᲘᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲘᲚᲘᲐ

მე იმ სულიერს შევნატრი,
მართლა შევნატრი, მენდე,
ვინაც გიხილა პირველად,
უზენაესის შემდეგ,

ო, იმ ბედნიერ ძირძველას,
კახი ერქვა თუ ლაზი,
ვინაც გიხილა პირველად,
აყვავებული, ნაზი,

კრთიან იები საშუბის,
და კვლავ შევნატრი, მენდე,
ვინაც დაგარქვა სამშობლო,
უზენაესის შემდეგ,

შე ფერთა ზღვაო, შრიალავ,
მაცოცხლებ, ნათლისმჩენი,
რადგან სამშობლო კი არა,
ბედისწერა ხარ ჩემი.

## ᲩᲘᲢᲔᲑᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲜᲘ

ეს მერამდენედ,
ეს მერამდენედ,
ვხედავ გაპონის ცბიერ ღიმილს
და ხეებიდან ჩიტებივით დაცემულ ბავშვებს,
ყველა ლატაკი ამქვეყნიური —
ცხრა იანვარი არის ბავშვებისთვის,
ბავშვებისთვის,
ბავშვებისთვის...

ტყვიები,
რომელთაც მომავალს ესვრიან,
კვლავ ზუზუნებენ, ზუზუნებენ დედამიწაზე...

## ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲤᲠᲔᲡᲙᲐ

გამოსულხარ ბეთანიის მთვარეში,
რომ ღამეში ფეხაკრეფით გევლო,
დაგინახე შენ თამარის თვალებში,
საქართველოს ცისფეროო ცრემლო...

ბადრი სვანაძე

# შუშანა



მხატვარი კარლო ფაჩულია

## მოთხრობა

ახლა რომ ზამთარ-ზაფხულ შალით აქვს წელი შეკრული, მოკაკულა და შვილიშვილების დაუხმარებლად მეორე სართულზე ვერ ადის, ასეთი კი არ იყო. ეჰ, მაშინ შეუსრულდა სწორედ ოცდაერთი შუშანას, ფრონტიდან ქმრის უგზოუკვლოდ დაკარგვის ამბავი რომ შეიტყო. მაღალს, ძვალმსხვილს, გრძელნაწნავიანსა და შესაშურად სახელამაზს, სწორედ იმ დღეს დაეცა შავი მეხი...

სხვებისდარად ჩაიცვა დალამბულ-შემოუტეხავი ყორნისფერი კაბა, თმის ტევრში გაეხვია და მდუღარე ცრემლით ალბო სარდიონის ტილოს ხალათი.

ქმრის დაკარგვას ხომ მოთქვამდა და მოთქვამდა, კიდევ უფრო გულმდუღარედ დასტიროდა ახლახანს მუცლიდან მოწყვეტილ შვილს... არადა, ყველაფერი იმ მგლის შესაჭმელი მოზვრის ბრალი იყო, სარდიონმა რომ დიდის ამბით ჩააბარა: — გაის ამ დროს სამისა შესრულდება, ნამთიურის გახედვნის დროც იქნება... სილიბისტრო ყბაჩურას გაახედნიე, ქალო, სხვას არ დაანებო, იგი ხარ-ურმის პრაფესორია, ხომ იცი შენ!.. მე თუ ვერ დავბრუნდი, მაი მაინც გამოადგება ბალანასო.

მერე სამი თვეც არ გასულა, ის ტყვია-წამლით გატრუსული ქაღალდი გაუკვეხეს ჭიშკარში...

მაინც რა ჯანდაბად მიაბა ის სამგლე იმ დღეს ღობის კიდეზე... რამდენ სვესაც გაიტანდა, ჩამობრუნდებოდა, გამოხშირულ სიმინდს აკრეფდა და საქონელს მიუყრიდა. ასიცხებულზე წყლის პირას ჩაყვანა დაუპირა დასარწყულებლად. როგორც კი პალოზე თოკი შეხსნა, ჯანიანმა პირუტყვმა მაშინვე ყანისკენ გაიწია და ქალიც დაითრია, შუშანამ საბელი მხარზე გადაიხვია, მთელი ძალით დაქაჩა, კისერი მოუდრიკა კიდეც, მაგრამ დამფრთხალი პირუტყვი კიდევ უფრო გადაირია: დატრიალდა, თოკდახვეული ამოდენა ქალი თითისტარივით დააბზრიალა. ნახევრადჩათელილი ღობე რომ მოასწორებინა, მაშინ კი იკადრა ქალმა თოკზე ხელის შეშვება, მაგრამ ახლა თოკმა აღარ გაუშვა იგი...

რძლადკუთვნილ სონიას დაენახა ვენახიდან ყოველივე და წივილ-კივილით შემოვარდა მოსარგვალებულ ჭინჭრებში...

გულწასული, დალეტილ-დაფხრეწილი ქალი, როგორც იქნა მოსულიერდა, შუშანა ალბათ საშინელმა ტკივილებმა უფრო მოიყვანა გონს, ვიდრე შელოცვებმა და შუბლზე კეჟერა ფხალის ფოთლის დაფენამ.

ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს ბებიაქალებმა.

საჩვენოსკენ მობრუნებულმა შუშანამ მოზვრის თვალით დანახვა აღარ ინდომა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სანაცვლოდ სამი ტომარა ტარო — სიმინდი, ბათმანი ლობიო და ქილა თაფლი გამოუგზავნა და საზღაურს თვითონაც ფეხდაფეხ მოჰყვა.

დილაადრიან ბოსლის წინ ჭუკებს აპურებდა შუშანა.

— შუშანა, ქალო, მოხარშულ ჭინჭარს წიპიებს აჭმევ?

შემცბარი, რომ წამოიმართა და ფრინველისკენ გაშვერილი პეშვი წინსაფარზე შეიწმინდა, თითქმის გაუტოლდა კიდეც ლობესთან ნაბლისფერი ულაყით მომდგარ თავმჯდომარეს.

— დილა მშვიდობისა, შუშანა!

— გაგიმარჯოთ, ბატონო სოლომონ, გაგიმარჯოთ!.. რა ვქნა, აბა, სხვა რა ვაჭამო?..

— არა, მაგას კი არ გეუბნები, შე ქალო, ჭინჭარი არ ეჭმევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა, ასალო კერძევაძემ და მინადორა შუბინიძემ წუხელის ჯიქური და ნაკორტალე დაფქვეს ნისქვილზე და შენ ღერღილიანი ჭინჭრით...

— ამ ღერღილში ორწლიანი მოზვერი ჩაგაბარეთ მე თქვენ,— იწყინა ქალმა.

— კარგი, კარგი, შუშანა, გაბრაზება სულ არ გიხდება... რომ გაგითავდება, მოდი და კიდევ გაგიხლაფორთებ რაღაცას, ოღონდ შენც ჩვენკენ მოიხედე ცოტა, — დაიელმა თვალები თავმჯდომარემ.

— ვერ გავიგე, ბატონო?! — ჩადგმულ თეძოებზე შემოიწყო ხელები შუშანამ.

— ქვიანაში იმ ვენახს მიხედე, თორემ, მერე სხვანაირი ლაპარაკი მექნება შენთან, — პასუხს თავი აარიდა, ხმაში მოჩვენებითი ბრაზი გაირია სოლომონმა, — ქარიშხალი ტრიალებს ახლა, ფრონტი ითხოვს, გაიგე?!

— მაშინ ამ ხელებზე დამეყაროს მიწა, თუ სხვაზე ნაკლებად მქონდეს მოვლილ-დამუშავებული ყანა-ვენახი, — დაადევნა ორლობეში ათოხარიკებულ თავმჯდომარეს შუშანამ და მუშტი ბარაქიან მკერდზე მიიბჯინა. — შენ ზოგიერთებს მიხედე, გაყალტამებული რომ აქვთ ნორმები!..

— ვნახოთ, ვნახოთ, — ვერიჩკა თალაკვაძის ჭიშკრიდან გამოსძახა სოლომონმა. და გამოგებებულ მასპინძელს უნაგირიდან წახრილმა რაღაც უჩურჩულა.

ვერიჩკამ ხმამაღლა გადაიკისკისა, ბარძაყზე უჩქმიტა და ბელლის ჩამოხურულისკენ გაიქცა.

სოლომონი უნაგირიდან ჩამოიხლახა.

სახე დაემანჭა შუშანას, — უი, შენ დაგევსო თვალები ვერიჩკია მიწადასაყრელო!.. ვერ ხედავ, შენი შალიკოს ფეხის ფრჩხილადაც რომ არ ღირს მაგ დაგვალული სოლომონე? თუ სადმე სამართალია, მაგისთვის უფრო უპრიანი არ იყო ჩემი სარდიონის ბედი? მარა, როგორი მელაა, — ძარღვებში მახათი გეიყარა და... ვენაცვალე გამჩენს, კი დარჩა მარჯვენა ფეხი კავის ერქვანივით... ამიტომ დაიყეფა უძაღლო ქვეყანაში კატამ, თორემ მეფურნეს ვინ დასვამდა კოლექტივის თავმჯდომარედ?!... ცხენის ძუაზე უნდა გამოგაბას თმებით კაცმა, ვერიჩკა, და ისე გათრიოს... მარა, მაგასაც მოვესწრები, ღმერთის წყალობით, თუ შენი ქმარი მშვიდობით ჩამოვიდა, — ერთი კიდევ გვარიანად ამოაქვესკნელა მეზობელი და შემოსეულ ჭუკებს მიუბრუნდა.

* * *

საუბნო წყარო ისეთ ჩავარდნილ ადგილზეა, ბილიკით თუ არ შემოუარე, თემშარიდან ვერ მიუდგები. იგი კლდეში შედგმული ქვაბიდან გამოედინება და შენც იმ ქვაბში უნდა შეხვიდე, წყაროს წყლით რომ ისარგებლო. გზიდან თუ არაფერი ჩანს, სამაგიეროდ ამ ჭურისებური ადგილიდან მომსვლელწამსვლელის ჩურჩულიც კი კარგად ესმის გზაზე მიმავალს.

ვენახიდან დაბრუნებულმა შუშანამ შესაწამლი აპარატი მოიხსნა, გზის პირას მიაგდო და ის იყო ბილიკს წყაროზე უნდა ჩაჰყოლოდა, რომ ქვევიდან სიცილ-ხითხითი მოისმა და ნაბიჯი შეანელა. მერე, მისი სახელიც გაიგონა და იქვე ჩაჯდა და ჩაიკეცა.

— რას ამბობ, ბეჩა, რაი გეიგონა მაგი ჩემმა ყურებმა, — ეს პარასკის ხმა იყო, რომელსაც ქმარი და ორი ვაჟი ფრონტზე ჰყავდა გასტუმრებული, — არა, არა შუშანაზე მაგას ვერ დევიჯერებ...

— ჩემი თუ არ გჯერათ, ქალებო, ა, აგერ ვერიჩკას ჰკითხეთ, — იცნო მაშიკოს ხმა.

— რაია აქანე დოუჯერებელი, გენაცვალეთ, — აქაქანდა ვერიჩკა, — უცოლო კაცმა ქვრივთან ღამე გაათია და ამ დილით ქალმა ჭიშკარზე გადმოაცილა, ამაზე მეტი არ მომხდარა, თუ?...

— ა, ეგიც მე ვარ? დასვა ბეჭედი მაშიკომ.

— კაი, კაი, ქალებო, ღმერთმა არ გიწყინოთ! გუშინ შავი ჩეიცვა და მაგას რავა იზამდა? — გაარჩია გუგულას ბანი, — ჩვენი თავმჯდომარისაგან არაა მაგისთანები გასაკვირი, მარა, შუშანა, ქალო?!... აჰ, არა, არა, ლამარეს ხათრით მაინც არ იზამდა...

— ლამარე, თვარა ერთი ისიც კი მყავს წმინდა სულის ანგელოზი! მის ჯიბგირ ძმას რომ არ ეძალებინა, სოლომონი მაგის წამყვანი იყო? — ჩააგესლიანა სათქმელი ვერიჩკამ.

— მგონი ხვალეა ნიშნობა, არა? — იკითხა პარასკიმ.

— ჰო, ხვალ კიდეც ნიშნავს და კიდეც მიჰყავს... ალბათ, შუშანეც იქ იქნება, ლამარეს აფხანიკი არაა? — ჩაიხვიხვინა მაშიკომ.

— კაი, კაი, გეყოფათ ენის ტარტალი, — ველარ მოითმინა გუგულამ, — აიკიდეთ ახლა მაგ ჩაფები და გამოადგით ფეხი, დაღამდა!.. ეჰ, ჩემი მტერი ჩავარდა თქვენს პირში...

* * *

ძაღლების ღავღავში, ახლომახლოსაც არავის გაუგია, თუ როგორ მიასიკვდილა ვერიჩკა მისმა დეზერტირმა ძმამ აგაბომ და, როგორ გადაამტვრია შუშანამ ზურგზე კოპიტის კეტი თავმჯდომარეს...

ეს ამბები იმ ღამეს იმ დროს დატრიალდა, როცა ერთი პირი წყალსაც კი ჩაეძინება.

* * *

სასიძომ რომ გვარიანად დააგვიანა და პატარძლის ოჯახშიც ნერვები დაწყვეტამდე დაიჭიმა, ნახევრადხეიბარი თადეოზი აქოშინებული შემოვარდა ეზოში და „მოდის, მოდისო“, — შესძახა მომლოდინეთ.

ქალებმა ჭორები თავსაფრის ყურში გამოკრეს, მამაკაცებმა აზიდული წარბები დაუშვეს, აქა-იქ თავმოხოტრილმა ბიჭებმა ხელთოფებიც გაატკაცუნეს და ყურთამდე გაღებულ ჭიშკარს მიაწყდნენ. დიდ-პატარამ თვალი ლუკაიეს გორაკის ფერდზე სახრესავით გადაკრულ გზას გაუშტერა. სასიძოს აქედან ელოდნენ.

და, ის იყო, მზის უკანასკნელი სხივები ამ გორაკის მოხრიოკებულ თავზე ნუკრებივით აკუნტრუშდნენ, რომ უცებ მოსახვევიდან ცხენოსანი გამოშლიგინდა. ხალხს რომ მიუახლოვდა, აფრუტუნებული ცხენი მხედარმა ჩორთიდან ნაბიჯზე გადაიყვანა.

მახარობელ ანილობრივ მართალი გამოდგა: ცხენი კი, სოლომონის იყო, მაგრამ მხედარი შუშანა გახლდათ. ისე ჩაიარა, ბაგეთაგან სიტყვა არ დაუძრავს, სათქმელს მისი ცრემლჩამდგარი თვალები ამბობდნენ...

მოსახვევს რომ მიეფარა, მხოლოდ მაშინ დაუბრუნდათ ცნობიერება და... საპატარძლოს ეზოში კი სიძეს ამაოდ ელოდნენ.

* * *

ექვსიოდე თვეც არ იყო გასული, რომ რძლადკუთვნილ სონიას სახელზე ფრონტიდან ბარათი მოვიდა.

სანამ გახსნიდა, ერთი სიკვდილი გაათავა.

ბარათში ფოტოსურათი აღმოჩნდა და პირველად მას დააცქერდა.

ეცნო, მაგრამ თვალებს არ დაუჯერა.

უფროსმა შვილიშვილმა წერილიც რომ წაუკითხა, ცა და ქვეყანა შეყარა: მოუნახია, ხალხო, თავისი კაცი მოუნახია... ბომბს დაუმარხია და დაკარგული გონებიათ... ღამე ამომძვრალა მიწიდან... ცოცხალი ყოფილა... ორთავე გამოტირებული მყავდა... ა, შეხედეთ, თქვენი თვალით ნახეთ... ორთავე ცოცხალია!..

სიხარულის ცრემლებით დამბალი ფოტოსურათი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ცხენზე ამხედრებულ, გიმნასტურიან შუშანას გვერდით, უზანგთან, დოინჯშემოყრილი, მედალ-ორდენით მკერდდამშვენებული სარდიონი იდგა.

ორთავენი გულწმინდად იღიმებოდნენ.

მეზობლები სანაძლეოს ჩამოდიოდნენ, რომ ის მარცხენა თვალთან ხალდაკრული ცხენი, რომელიც ფოტოზე იყო გადაღებული, სოლომონისეული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოა აქაც და იქაც

განა იმიტომ მოველოდით მოუთმენლად კვირტსავსე აპრილს, საქართველო კვირტებისაგან რომ განეძარცვა და გლოვის თვედ ქცეულიყო?

აჭარა! — ტკივილი ჩვენი, სიხარული და სიამაყე ჩვენი, მრავალაკვნიანი, შრომისმოყვარე, გულადი, პურადი...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით გადაუდებელი ღონისძიებანი დაისახა სტიქიით მიყენებული შედეგების სალიკვიდაციოდ, მაგრამ საერთო ზარალმა ზემო აჭარაში 200 მილიონ მანეთს გადააჭარბა. და გადაწყდა დაზარალებულთა ჩასახლება რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში, შეირჩა და დაპროექტდა მათი მუდმივი დასახლების ადგილები, გამოიყო ნაკვეთები. სახლების აშენებამდე მრავალჭირნახულ აჭარას საქართველოს ყოველი კუთხე ფეხზე დაუდგა, თანამემამულეთ დახმარების ხელი გაუწოდა, დროებით შეიფარა და გულის სითბო უწილადა. ეს დიდი უბედურება რომ არ დატრიალებულიყო, მცირემიწიან ზემო აჭარაში— ხულოში, ქედასა და შუახევში, ჭარბი მოსახლეობისაგან ამ რაიონების განტვირთვის პრობლემა მაინც იდგა, ამიტომაც ხდებოდა მათი თანდათანობითი ჩასახლება ქობულეთის, ხელვაჩაურის, წითელწყაროს, ასპინძის, ოზურგეთის და სხვა რაიონებში.

## ამღერდება სამღერეთი

სამღერეთი... ეს სოფელი თეთრი წყაროს რაიონშია. მაგრამ სადღაა სოფელი, მისგან სახელიღა დარჩენილა. ნასოფლარი ისე შეუმკია ბუნებას, ალტაცებას ვერ მალავ, ეკლესიის ნანგრევები კიდევ უფრო ამშვენებს მას. ოდესღაც აქ ქართულ ენაზე აღევლინებოდა წირვა-ლოცვა.... ახლა? ნასოფლარის ორივე მხარეს უცხო გვარისანი დასახლებულან და ერთ ქართულ სიტყვასაც ველარ გაიგონებთ. მრავალშვილიან აჭარელთა ოჯახების აქ ჩამოსახლებამ მძიმე დემოგრაფიული სიტუაციაც უნდა შეამსუბუქოს და ქართული სულიც ააღორძინოს.

სამღერეთი... რა ლამაზი სახელების შერქმევა იცის სოფლისათვის ხალხმა, რა უცხო ლეგენდების შექმნა...

თათრებით გარშემორტყმულ სოფელს გახიზვნა ვერ მოუსწრია. ტყიდან სამი ულამაზესი ასული ფერიებივით გამოგოგმანებულა და გალობა დაუწყია. ციურ ხმებს მტერი მოუნუსხავს. ამ გაოგნების ჟამს სოფელი გახიზნულა. როცა დამპყრობი გონს მოსულა, მომღერლებისათვის თავები წაუკვეთავს, შუბებზე წამოუგია და ისე შეჭრილა უკვე დაცარიელებულ სოფელში.

სამღერეთი... საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომმა ამ სოფლის აღორძინება იკისრა. მისი ინიციატივით პირველ რიგში აშენდება 50 საცხოვრებელი სახლი, სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, ჯანმრთელობის პუნქტი, ბაგა-ბაღი, მაღაზია. ამ გეგმის განხორციელება იკისრეს რაიონის ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზის, ტრანსპორტის სისტემის საწარმოებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, სამედიცინო, სამკურნალო დაწესებულებებმა, სკოლების, ტექნიკუმების კოლექტივებმა დაზოგილი სამრეწველო, სამშენებლო და სამეურნეო მასალებით. ამას გარდა, საქართველოს მრეწვბანკის თბილისის ლენინის რაიონულ განყოფილებაში სოფლის აღორძინების ფონდი გაიხსნა.

და გაშენდება სოფელი, დაირწევა აკვნები, დაიზრდებიან ლეკვები მგლისანი, მუხლმაგარნი და კვლავ ამღერდება სამღერეთი...

## თქვენი ჩამოსვლით ამ მიწას სულ სხვა იერი მიეცა...

საუკუნეთა მანძილზე ერთნაირი მწარე ხვედრი გაუზიარებია აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთს, ათასი ჯურის მომხდურს აუკლია და გაუპარტახებია, სისხლით მოურწყავს... მაინც უმძლავრია სიცოცხლის ფესვს, არ გადაშენებულა, მაგრამ სიმრავლის მონატრებული კი დარჩენილა. მალამოდ დაედება მრავალშვილიან აჭარელთა ჩამოსახლება ამ უძველეს ქართულ მიწას, უძველესსა და უწმინდესს. უწმინდესს, რადგან კაბადოკიელმა ქალწულმა — წმინდა ნინომ — ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მოგზაურობა სწორედ ჯავახეთის მთებიდან დაიწყო.

აჭარელთა 1500 ოჯახი ჩასახლდება ჯავახეთში. ახალქალაქის რაიონისაკენ უკვე დაიძრნენ ახალმოსახლენი.

ქართველ მეფეთა საუფლისწულო მამული იყო ახალქალაქი, XI საუკუნიდან ჯავახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი... შემდეგ... ვილამ აღარ აოხრა ეს ძირძველი ქართული მიწა. გასული საუკუნის ოციან წლებში ჯავახეთი რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. ამას მაჰმადიან ქართველთა თურქეთში იძულებით გადახვეწა მოჰყვა. მათ მაგიერ არზრუმის ვილაიეთიდან გრიგორიანი სომხები ჩამოასახლეს...

ერთსულოვანი იყო ახალქალაქის რაიონის მცხოვრებთა სურვილი. აქ დამკვიდრებულთა უმრავლესობის — სომეხთა მონოდებაც ისეთივე იყო, როგორც თვისტომთა: ჩამოსახლდნენ აჭარლები მესხეთში, მიწა კარგი გვაქვს, მშრომელ კაცს სარჩო-საბადებელი არ მოაკლდებაო. ხულოს რაიონიდან ჯერჯერობით 500 ოჯახი ჩასახლდება ახალქალაქის რაიონში, ძირითადად კი ქართულ სოფლებში, მათ მეზობელ ტერიტორიებზე.

ამჟამად ახალქალაქის რაიონის 70 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 3 ათასია ქართველი (დაახლოებით 4 პროცენტი). ამ ორმოციოდე წლის წინ არსებული 15 ქართული სოფლიდან ექვსიოდეღა დარჩენილა, სადაც 500-მდე ოჯახი ცხოვრობს. ეს სოფლებიც სულს ლაფავენ, ზოგ მათგანს კი ვაი სოფელსაც უწოდებენ. სოფელში რომ 3-4 ოჯახიღა დარჩება, რიღასი იმედი უნდა გვქონდეს. დარჩებოდა ნასახლარები, ნასოფლარები...

არჩილ ქამადაძემ, პარტიის ხულოს რაიკომის პასუხისმგებელმა მუშაკმა, სამთავრობო, აგრეთვე რუსთაველის საზოგადოებასთან და საქართველოს „სახმშენთან“ არსებული არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების სახელმწიფო კომიტეტთან ჩამოყალიბებული კომისიების წევრებთან ერთად მოიარა ახალქალაქის რაიონი, დაათვალიერა, შეისწავლა და შეარჩია ის ადგილები, სადაც აჭარლები უნდა დასახლდნენ.

ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში გაშენდება თანამედროვე ტიპის სოფლები, სტიქიით დაზარალებულთათვის



პტენის კოლმეურნეობაში.



სოფელი ჩუნჩხა



შეხვედრა ახალქალაქში.



უფასოდ აიგება საცხოვრებელი სახლები, გაიყვანენ წყალსადენებს, მოირწყვება სახნავ-სათესი ფართობები. ერთი სიტყვით, ჯავახეთის მიწას ნამდვილი პატრონი გაუჩნდება. ოკამის საბჭოთა მეურნეობაში 87 ჰექტარი ფართობი დაგეგმარდა 250 ოჯახისათვის. 100-100 ოჯახი გოგაშენსა, აფნიასა და პტენაში დასახლდება, 150 ოჯახი ჩუნჩხაში იცხოვრებს, აზმანაში 70 ოჯახი ჩამოსახლდება, აქ 50 სახლის აშენება ცეკავშირმა იკისრა. კოთელიაში კი 100 სახლის აშენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ითავა, ბოგდანოვკის რაიონში ჯერჯერობით 300 ოჯახი გააჩაღებს კერას, აქ ახალი სოფლის აშენება დაიგეგმა. ეს სოფელიც ახმიანდება, დაირწევა ქართული აკვნები...

გოგაშენში 100 ოჯახისათვის დაიგეგმა გამოყოფილი ტერიტორია. აქ ხულოს რაიონის ღურტის მცხოვრებლები დაიდებენ ბინას. ეძნელებოდათ მშობლიური კუთხის, მამა-პაპათა საფლავების მიტოვება, მაგრამ... თავკაცობა და მეგზურობა მრავალშვილიანი ოჯახის მამამ, კოლმეურნე იოსებ მგელაძემ იკისრა და სტიქიისაგან დაზარალებულ ნათესავებს, მეზობლებს წინ გამოუძღვა: საქართველოა აქაც და იქაცო, — გულს უმაგრებს თანასოფლელთ. გამრჯე კაცია იოსები, ქვითხუროობაც ეხერხება. ახალ ფუძეზეც დაატრიალებს თავის მადლიან მარჯვენას. არადა, რამდენი რამ არის გასაკეთებელი ამ სოფელში...

— წლების განმავლობაში მარტო გეგმის შესრულებაზე ვზრუნავდით, სოციალური საკითხები კი გვერდზე გვრჩებოდა, — გვეუბნება გოგაშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ფ. ნათენაძე. — ახალგაზრდობამაც შეაქცია ზურგი სოფელს. ვერც გაამტყუნებ. გზები მოსაწესრიგებელია, სკოლას, სამედიცინო პუნქტს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუფერებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვთ.

ჩვენს მაღაზიაში პირველი მოხმარების საგნებს ვერ შეიძენ. არც ტელეფონი გვაქვს, არც სასადილო, არც აბანო... სკოლაში პედაგოგები გვაკლია, არც ექიმი გვყავს. ამდენ ხანს საკმარისი წყალიც არ გვქონდა. ახლა შენდება წყალსადენი, გზა გაჰყავთ... ცოტა სიზარმაცეც მოგვდგამს,

თორემ ყველას მარჯვენა სოფლის სასიკეთოდ რომ დატრიალებულიყო, გოგაშენი უფრო კეთილმოწყობილი იქნებოდა. როგორც ხედავთ, თავიანთ კარმიდამოსაც ნაკლებად უვლიან... დღეს მეურნეობის 800 სული ცხვარი მოსაწველი იყო. ხუთიოდე მწველავი ძლივს გავიყოლეთ. მე და ჩემი ცოლი ვწველიდით მათთან ერთად. რა გვექნა, 400 ლიტრ რძეს ხომ არ დავკარგავდით. მუშახელი გვაკლია. ეგებ ახლა მაინც გვეშველოს. აჭარიდან ჩამოსახლებულმა ძმებმა უნდა გვიხსნან...

ის პრობლემები, რაც სამართლიანად დააყენა მეურნეობის დირექტორმა, მარტო ამ სოფლისთვის როდია დამახასიათებელი. არც ერთ სოფელში არ არის საბავშვო ბაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიმე ობიექტი. ისე გადის წლები, ზოგიერთ სოფელში კინოფილმს არ უჩვენებენ, არა აქვთ სატელეფონო კავშირი ცენტრთან, მოსახლეობა ცუდად იღებს სატელევიზიო გადაცემებს თბილისიდან, გზებისა და ავტობუსების საქმე მოსაგვარებელია. ყურადღება არ ექცევა ისტორიულ ძეგლებს...

## ქორწილია, ქორწილი!

ასეა მუდამ: ჭირს ლხინი მოსდევს, უბედურებას — ბედნიერება... ჩუნჩხაში ეროვნული დროშა აღუმართავთ. აქ, სადაც ხულოს რაიონის სოფელ დანისპარაულის 26 ოჯახმა დაიდო ბინა, დიდი ხანია ამდენი ხალხი არ შეკრებილა.

და აი, პირველი ქორწილიც. აჭარელმა ახალგაზრდებმა მერაბ პაპიძემ და ციური საგინაძემ ახლციხეში, წმინდა მარინეს ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი... მათ ბედნიერებას, აჭარლებთან და ჯავახელებთან ერთად, თბილისელებიც იზიარებენ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ოთხი ინსტიტუტის „სახალხო ფრონტის“ პირველადი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მექორწილეებს 500 მანეთი გადასცეს (100-100 მანეთი კი სხვა ოჯახებს. ჩამოსახლებულებს ტანსაცმელი და სურსათიც ჩაუტანეს). მეორე დღეს ახალგაზრდებს ცნობილმა მწერალმა და კინორეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა მოსკოვში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების მიერ შემოწირული 2850 მანეთიდან 1000 მანეთი გადასცა. დანარჩენი თანხა ხელმოკლე და მრავალშვილიან ოჯახებს გაუნაწილა.

ასეა მუდამ: ჭირს ლხინი მოსდევს, უბედურებას — ბედნიერება...

ეს ბედნიერი დღეც ჯავახეთის აღორძინების, ამ მიწაზე საქართველოს მოლონიერების, ქართული სულის მომძლავრების, სიცოცხლის ფესვის ერთი ათად გამრავლების საწინდარი ყოფილიყოს!

იზაბელა გერმესაშვილი

# ძიების ორმოცი წელი



საინტერესო მეცნიერულ მუშაობას ეწევა ანა სიხარულიძე — ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მცენარეთა დაცვის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

24 წლისა იყო, ანასეულში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში რომ მოვიდა. იმ თარიღს უკვე ორმოცი წელი აშორებს. ღიმილით იხსენებს მაშინდელ მღელვარებას, რა მოკრძალებით შეჰყურებდა მოფუსფუსე, თეთრხალათიან მეცნიერ მუშაკებს, თვითონ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული გახლდათ.

სტუდენტობაშივე შრომისმოყვარეობითა და საინტერესო მუშაობით გამოირჩეოდა. ახლა კი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს. მუშაობის დაწყებიდან მეორე წელს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა, შემდგომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ჩაის ბუჩქის მავნე ტკიპები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა“. დისერტაციას მაღალი შეფასება მისცეს პროფესორებმა ლ. კალანდაძემ, ი. ბათიაშვილმა, ნ. კობახიძემ, დოცენტმა მ. ჭელიძემ.

მისი მუშაობით ბევრი დაინტერესდა, ნაშრომები მოწონებას იმსახურებდა და თუმცა პირველობა თავისთავად გულისხმობს პოპულარობას, განებივრებული იყო მეცნიერთა ყურადღებით და დადებითი შეფასებებით, თვითკმაყოფილებას არ მისცემია.

ბევრი სასიამოვნო მოგონება დაუგროვდა. შეხვდა ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებს, დაუახლოვდა რაიონის მოწინავე ადამიანებს. ახლაც რელიკვიად ინახავს მათ წერილებსა და მისალოც ბარათებს, მადლიერებით იხსენებს პედაგოგებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს სამეცნიერო საქმიანობაში: აწ განსვენებულ შ. პატარაიას (მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე) და ინსტიტუტის კონსულტანტს აკადემიკოს ლ. კალანდაძეს, რომელიც მისი ხელმძღვანელი იყო.

ქალბატონ ანას სანიმუშო პასუხისმგებლობისა და საქმისადმი ერთგულების შედეგია, რომ დააჯილდოეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით, სოფლის მეურნეობის ფრიადოსნის ნიშნით, გამოფენების პრიზებითა და მედლებით.

ქალბატონ ანას გამოქვეყნებული აქვს 70 შრომა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მავნებლების ბიოლოგია-ეკოლოგიის საკითხებსა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ. მისი გამოკვლევები შეტანილია ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოქმედ აგროწესებში, დანერგილია წარმოებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

იგი აქტიურად მონაწილეობს საკავშირო და რესპუბლიკურ სიმპოზიუმებში, აგრონომ-ენტომოლოგთა გადასამზადებელი კურსების მუშაობაში, არის ენტომოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, იყო ინსტიტუტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, არის კეთილი მრჩეველი, მეგობარი, ოჯახში კი, სანიმუშო მეუღლე და დედა...

სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საქმიანობის მძიმე ტვირთის ტარებას მას ოჯახიც უმსუბუქებს, მუდამ გვერდით მდგომი მეუღლე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მექი ბზიავა და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მშობლების კვალს გაყოლილი ქალიშვილი რუსუდანი.

ქალბატონი ანა დაჯილდოებულია გამორჩეული თვისებით — მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად, დაუღალავად ემსახუროს მეცნიერებას, ხალხს, ოჯახს.

როზა სიმონიშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



# აქ დიდი იმედით მოდიან...

ოცდაათი წლის წინათ, 1958 წლის ოქტომბერში, ყალიბდებოდა ქალის ფიზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც უძღვებოდა სახელგანთქმული, თავისი სპეციალობისადმი დიდი პასუხისმგებლობითა და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ექიმი, პროფესორი იოსებ ჟორდანია. კულისებს მიღმა დარჩა მრავალი თათბირი და დავა, რომელიც გამოიწვია ქვეყანაში ასეთი ფუნქციის ერთადერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გახსნამ საქართველოში, თბილისში.

გამოიყო შენობა ლენინის ქუჩაზე და დაიწყო სრულიად ახალი, ეროვნული მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ეს ინსტიტუტი გაფართოებული მნიშვნელობითა და მასშტაბით დღესაც იმავე კედლებში ბინადრობს. აქვე შრომობენ ის ადამიანები, რომლებიც პირველ ნაბიჯს დგამდნენ თავიანთ პროფესიულ გზაზე იმ სანიმუშო პიროვნების უშუალო ხელმძღვანელობით. რომლის სიცოცხლეც, თურმე, შემდეგ ლეგენდად უნდა ქცეულიყო.

და აი, სრულიად ახლად გახსნილ, ჯერ კიდევ დაუკომპლექტებელ ინსტიტუტს, როგორც იმედს, მიაკითხეს პირველმა პაციენტებმა.

გარეგნულად ჯანმრთელი ახალგაზრდა ქალი, რომელიც უშვილოდ დარჩენის საშიშროების წინაშე დგას, რომელსაც აღეკვეთა მისი უწმინდესი და უპირველესი ფუნქცია დედად ქცევისა, განწირულია ჩუმი, ნაღვლიანი ჭკნობისათვის. ეს მისი ავადმყოფობაა და შეიძლება ოჯახის დარღვევის უმთავრესი მიზეზიც.

ერთ-ერთი მათგანი იყო სრულიად ახალგაზრდა, ლამაზი, სიცოცხლის ხალისჩამქრალი ცისანა სანაძე. სამი წლის უნაყოფოდ ქორწინებას დაერთო მაშინდელი კორიფეს მიერ განაჩენივით გამოტანილი დიაგნოზი-პროგნოზი: გრძელვადიანი მკურნალობით შესაძლებელიაო შვილოსნობა. 23 წლის ქალისათვის ასეთი დიაგნოზი ყოველგვარი ხალისისა და იმედის დამჩრდილავია.

ახლა ოდნავი სევდით, მაგრამ სხივნათელი ღიმილითა და მოწიწებით იგონებს ქალბატონი ცისანა პროფესორ ი. ჟორდანიას. ადამიანს, ვინც თითქმის სასოწარკვეთილს, თავისი უღრმესი ტაქტით, სითბოთი და პროფესიული ალღოთი შვილის გაჩენის იმედი დაუბრუნა, ვინც პირველივე შეხვედრისას დაარწმუნა, რომ შიში უსაფუძვლოა; მკურნალობა კი, თავის ახალგაზრდა კოლეგას რ. ფ. კალაშნიკოვა-პაპიტაშვილს მიანდო. 2-3 თვის მკურნალობამ მოიტანა ის ბედნიერი შედეგი, რასაც პირმშოს მოლოდინი ჰქვია. ამაზე დიდი სიხარულის ჩუქება განა არის შესაძლებელი? ან კი შესაძლებელია ამ სიხარულის დავიწყება? მას შემდეგ ოცდაათმა წელიწადმა განვლო. დღეს ცისანა სანაძე ოთხი შვილის ბედნიერი დედაა, ოთხი სიცოცხლის მშობელი... 1960 წელს შეეძინა გოგონა, შემდეგ — მეორე, მას მოჰყვა მესამე და მეოთხე ვაჟი. ყველა მათგანი გზაგაკვალულია, აქვთ სპეციალობა, ქალბატონი ცისანა ბებიაც გახლავთ.

მეტეორიტს ჰგავდა პროფ. ი. ჟორდანიას ცხოვრება, იმ განსხვავებით, რომ მეტეორიტი უკვალოდ ქრება, პროფესორმა კი ერის სიყვარულის, კაცთმოყვარეობის ძეგლი დაგვიტოვა. მისი სიკვდილიც ხომ ამ იდეის ზებუნებრივობამდე აყვანის მაგალითია.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, ოცდაათი წელი შრომისა და შემოქმედებითი ძიებისა, წინააღმდეგობებისა და ვნებათა ღელვისა. იცვლებიან თაობები. ინსტიტუტის პირველი პაციენტების უმრავლესობა ბებიებიც გახდნენ. ინსტიტუტის კოლექტივს შემოეცალა ძველი თაობა. მაგრამ საქმე, რომელიც პროფესორმა ი. ჟორდანიამ დატოვა, წმიდა კელეპტარივით ღვრის თავის მადლიან შუქს.

შემოგვეხმიანეთ, ინსტიტუტის პაციენტებო, თქვენი სიხარული ხომ ინსტიტუტის კოლექტივის სიხარულია და მისი შრომის დაფასებაც არის!

დღეს ინსტიტუტის მთავარ პრობლემას — უშვილო ქორწინებათა მკურნალობას, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი — შვილთაყოლის ოჯახშიდა რეგულაციის პრობლემაც დაემატა. რა დასამალია, თუ ვაღიარებთ, რამდენი ტკივილი და ჯანმრთელობის შერყევა მოსდევს არასასურველი ორსულობის შეწყვეტას აბორტის გაკეთებით, რომელიც, საუბედუროდ, ასე მასობრივად მოედო რესპუბლიკას და პოპულარული გახდა ჩვენს ქალებში. აბორტი — ეს ბარბაროსული მეთოდი ოჯახშიდა რეგულაციისა, არა მარტო ერის სოციალური სენი, არამედ უშვილობის ერთ-ერთი გამპირობებელი ფაქტორი არის, ამიტომაც მასთან ბრძოლას დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს.

როგორ ვებრძოლოთ აბორტს? ამ კითხვას ერთადერთი სწორი პასუხი აქვს: არ დავუშვათ არასასურველი ორსულობა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენების გზით. უკიდურეს შემთხვევაში მივმართოთ ნაყოფის მოშორებას მისი განვითარების ადრეულ ასაკში მინი-აბორტის საშუალებით, რომელიც დიდ აბორტთან შედარებით ნაკლებად მავნებელია.

სავსეა ინსტიტუტის პოლიკლინიკური და სტაციონარული განყოფილებები ახალგაზრდა ქალებით, რომელთა სახეზე ნაღველი და მომავალი უშვილო ოჯახისადმი შიშია აღბეჭდილი.

იმედმა მოიყვანა ისინი ექიმთან და ნურც მოშლოდეთ ეს იმედი. დაე, მათი იმედი გადაზრდილიყოს დიდ სიხარულში, რომელიც დედობას მოაქვს, იმრავლოს ახლადმოვლენილ ყრმათა რიცხვმა ჩვენი ერის სასიხარულოდ!

**დ. ჯორჯიკაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელოვნების ტრფიალი

ეთერ ჭეიშვილი პროფესიით მუსიკოსია. ერთხანს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში მუშაობდა. შემდეგ თბილისის მესამე მუსიკალური სკოლის სახელმოხვეჭილი პედაგოგი გახდა. მისი აღზრდილები ყოველთვის სიამაყით მოიხსენიებენ ნიჭიერ მასწავლებელს, რომელიც კომპოზიტორთა ინდივიდუალობას, ყოველი მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ხელოვნებას დიდი გემოვნებით აზიარებდა აღსაზრდელებს.

საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი შემდეგ ხელოვნების სხვა დარგმა გაიტაცა. ეთერ ჭეიშვილის ნატიფი გემოვნება მხატვრულ და დეკორატიულ ნაკეთობათა შესრულებაში გაღრმავდა. კვლავ მშვენიერებას ეზიარა, გატაცებით შექმნა ფერთა ჰარმონია, მუსიკალური ბგერები გამხმარი ყვავილების ფურცლებში გადაიტანა, სირმის ბაფთებისაგან ლამაზი კალათები დაწნა, ციმციმა თვალებიანი რკოები, პაწაწინა მინდვრის ყვავილები თუ ნაირფერი მძივები, ჩამოღვენთილი სანთლები მისი სამუშაო მასალა გახდა.

ეთერ ჭეიშვილი თავისთავში პოულობს ძალას შექმნას სილამაზე, იყოს მოყვარე, სიკეთის მთესველი.





ლეო ჭეიშვილის ოჯახს ბუენოს აირესში სტუმრად ეწვივნენ და ეთერ ჭეიშვილი და დისშვილი ნანა ყიფიანი.



ელენე საყვარელიძე



# კეთილი საქმის მსახური

სანატორიუმ „ძაუს“ მუშაობის შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში. კურორტი გამოირჩევა წარმტაცი ბუნებითა და სამკურნალო წყლით, სანატორიუმის სამედიცინო პერსონალიც გულისხმიერი და თავაზიანია, მის კოლექტივს არაერთხელ გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოსა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საპატიო სიგელი.

სანატორიუმის წარმატებები, ბუნებრივია დაკავშირებულია მისი მთავარი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, მარინე ხეთაგუროვას სახელთან, რომელიც უკვე თხუთმეტი წელიწადია ღირსეულად უძღვება ამ უაღრესად პასუხსაგებ და კეთილ საქმეს.

მარინემ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამი წელიწადი იმუშავა სპეციალობის მიხედვით. 1968 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, გახდა ამავე ინსტიტუტის პირველი თერაპიის კათედრის ასპირანტი და მალე დისერტაცია დაიცვა.

მარინეს დამსახურებაა სანატორიუმ „ძაუს“ ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ახალი სამკურნალო კაბინეტების გახსნა, მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესება. კურორტი 1975 წლიდან საკავშირო მნიშვნელობისაა (მინერალური წყალი „ძაუ“ ბევრი სნეულების მკურნალია); აქ მარინეს თაოსნობით შეიქმნა ელექტროგასტროგრაფიის, მექანოთერაპიის, ინჰალაციის, სტომატოლოგიური კაბინეტები.



მარინემ შესანიშნავად გაართვა თავი ახალ სამეურნეო პრობლემებსაც, შექმნა წანამძღვრები სანატორიუმის ეკონომიკური მომძლავრებისათვის, შემდეგ კი დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. აქვე გაიხსნა კბილის პროტეზირების, მასაჟის, კოსმეტიკის, უროლოგიური და გინეკოლოგიური ფასიანი სამკურნალო კაბინეტები. მუშაობს კაფე-დისკო-ბარი, ფერმისთვის მიიღეს 100 ჰექტარი ადგილი საძოვრებითურთ. ყოველივე ამან დამატებითი შემოსავალი მისცა სანატორიუმს.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი სანატორიუმ „ძაუს“ მეცნიერი-კონსულტანტი ა. კაკულია გვიამბობს: — მარინემ მაღალ დონეზე დააყენა სანატორიუმ „ძაუში“ ავადმყოფთა მკურნალობა და დასვენება. როდესაც ხელმძღვანელობა სანატორიუმ „ძაუს“ საკითხებზე მეძახის, ძველებურად აღარ ვღელავ, ვიცი, ოფიციალურ მადლობას გამომიცხადებს ან სანატორიუმისათვის გადასაცემ ჯილდოს ჩამაბარებს.

მარინე მშრომელი, ამაგდარი ოჯახიდან გახლავთ. მისი მშობლები ამჟამად დამსახურებულ პენსიაზე არიან. მამა — ვასილი ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატია. იგი მრავალ პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა: იყო პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 30 წელიწადს ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ბიოლოგია-ქიმიის კათედრას. დედა — რაზილ ალექსანდრეს ასული რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელია, იყო სკოლის, ტექნიკუმის დირექტორი. 40 წელიწადს ემსახურა სახალხო განათლების საქმეს. მარინეს ძმა, რუსლანი ოლქის ფარგლებს გარეთაც ცნობილი ექიმია. მუშაობს საოლქო საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების გამგედ.

მარინემ თავადაც კარგი და შინაარსიანი ოჯახი შექმნა. მეუღლე — ელგუჯა აბრამიძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტია. ვაჟი — ზაზა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე კურსის წარჩინებული სტუდენტი. ნინო თუმცა ჯერ პატარაა, დედის სპეციალობის დაუფლება უკვე მტკიცედ გადაუწყვეტია.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა მარინეს კეთილსინდისიერი შრომა. 1981 წელს იგი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით. არაერთხელ მიიღო საკავშირო თუ რესპუბლიკური პროფკავშირების კურორტთა მართვის საპატიო სიგელები, არის რესპუბლიკის „ჯანმრთელობის ფრიადოსანი“, მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდება. 15 წელიწადია მარინე პარტიის ჯავის რაიკომის წევრი და ჯავის რაიაღმასკომის დეპუტატია.

მ. მინდიაშვილი

# დამსვენებელი

ხალხმრავლობაა ჩვენს კურორტებზე. საქართველოს ტყუილად როდი უწოდებენ საკავშირო ჯანმრთელობის მძლავრ კერას. თვალწარმტაც ბუნების წიაღში მოთავსებულია ჯანმრთელობის კერები. შავი ზღვა, ბახმაროსა და შოვის მარად დათოვლილი მწვერვალები, სამკურნალო მინერალური წყლები ათასობით დამსვენებელს, ტურისტს, მოგზაურს იზიდავენ.

როგორ მოემზადნენ სეზონისათვის, როგორ მიმდინარეობს დამსვენებელთა მომსახურება, სამკურნალო პროფილაქტიკური მუშაობა, რა პრობლემებია რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებში? — ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს **ნოდარ შარაშენიძეს.**



ბიჭვინთა



კურორტი ბორჯომი ლიკანი

— პროფკავშირთა საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის სამოცდაათამდე სანატორიუმს, პანსიონატსა და დასასვენებელ სახლს აერთიანებს. მათი მუშაობის მთავარი მიზანი მშრომელთა ჯანმრთელობის აღდგენაა. ჩვენ გავითვალისწინეთ შარშანდელი მუშაობის შედეგი და ყოველივეს ღრმა გაანალიზებით საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ უკეთ წარმართა საქმიანობა ჯანმრთელობის კერებში უკეთესი სამკურნალო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

საკურორტო ჯანმრთელობის კოლექტივების პასუხსაგები ამოცანაა მთელი საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისა და დაჩქარების მძლავრ პროცესებს შევუსაბამოთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა კარგ პირობებში იმკურნალონ და დაისვენონ.

მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის საქმეში საგულისხმო წამოწყება და კარგი გამოცდილება აქვთ აფხაზეთის, აჭარის, წყალტუბოს, ბორჯომის და სხვა საკურორტო დაწესებულებებს.

ისინი ზრუნავენ სეზონის ორგანიზებულად წარმართვისათვის. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა საკურორტო მეურნეობები, მკვეთ-

# კმაყოფილი რომ იყოს

რად უმჯობესდება დამსვენებელთა მომსახურება. საფიქრალი, საზრუნავი კი მაინც ძალზე ბევრია.

შარშან საკურორტო სეზონში ნაკლოვანებები იყო დამსვენებელთა მომსახურების საქმეში. ეს გათვალისწინებული იქნა წლეულს, რომ გამართულად, თანამედროვე გარდაქმნის დონეზე ემოქმედნა საკურორტო მომსახურების ყველა რგოლსა და უბანს. დამსვენებელნი კმაყოფილი განწყობილებით, მადლიერების გრძნობით უნდა ბრუნდებოდნენ შინ. ეს არის დასასვენებელ-სამკურნალო ობიექტის მთავარი მიზანი.

1988 წლის დეკემბერსა და 1989 წლის იანვარში საზაფხულო-საკურორტო სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებში მიმაგრებულ იქნენ კოლეგიის წევრები, საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განსახორციელებლად.

კომპლექსურად შემოწმდა საკურორტო კერები. საბჭოს მთელ სისტემაში პრაქტიკული დახმარებები გაეწიათ ადგილზე. მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა საძილე კორპუსებს, სანტექნიკურ მოწყობილობას. ბიჭვინთის საკურორტო გაერთიანებაში შეეცადნენ აემაღლებინათ დამსვენებელთა მომსახურების კულტურის დონე, დანერგეს სიახლეები: მოაწყეს „საუნა“, სილამაზის სალონი, სპორტული მოედნები, საცურაო აუზი.

სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაკები მთელი ძალისხმევით ზრუნავენ იმისათვის, რომ უკეთ გამართონ სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობა, გააფართოონ საოჯახო დასვენების ქსელი, აამაღლონ ავადმყოფებისა და დამსვენებლების მომსახურების კულტურის დონე, გააძლიერონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იზრუნონ რესპუბლიკაში ეკოლოგიური გარემოს გაჯანმრთელებისათვის.

რესპუბლიკის საკურორტო საბჭოს სისტემის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად 500 ათასი კაცი ისვენებს, რომელთაც 2.100 სამედიცინო პერსონალი ემსახურება.

ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების ღონისძიებები ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და დაჩქარებული გარდაქმნის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა. ამ მხრივ უდიდესი როლი ჯანმრთელობის კერების მოქნილ მუშაობას აკისრია. 1988 წლის ივლისიდან სამკურნალო დაწესებულებები მუშაობის ახალ მეთოდზე, მართვის ახალ სისტემაზე გადავიდა.

წლეულს ჩვენს სამკურნალო დაწესებულებებში სხვა წლებისაგან განსხვავებით ხუთ ათასამდე ქალი, ბავშვი, ინვალიდი, პენსიონერი და სომხეთის მიწისძვრისაგან დაზარალებულნი ისვენებენ.

ყოველივე ამის გამო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მუშაკებმა მთელი ძალა მოიკრიბეს, რომ მიმდინარე 1989 წლის საზაფხულო საკურორტო სეზონი მაღალ დონეზე წარემართათ.

1988 წლის შედეგებით სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა 11 კოლექტივი პროფკავშირთა კურორტების მართვის ცენტრალურმა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გარდამავალი წითელი დროშითა და დიპლომებით დააჯილდოვეს. უკმაყოფილო დამსვენებელთა საჩივრები მნიშვნელოვნად შემცირდა.

წლევანდელი საკურორტო სეზონი რომ წარმატებით წარიმართოს, ადგილებზე მუშაობა მიმდინარეობს ავადმყოფებისა და დამსვენებლების სრულყოფილი დასვენებისათვის.

სამკურნალო დაწესებულებებში გაუმჯობესდა სამკურნალო-დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ხარისხი.

კურორტ გაგრაში აშენდა ახალი საკურორტო პოლიკლინიკა სხვადასხვა პროფილის სამედიცინო კაბინეტებით, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებს.

სანატორიულ-სამკურნალო დაწესებულებები უახლესი დიაგნოსტიკური და სამკურნალო აპარატურით შეივსო სამედიცინო მომსახურებისა და ეფექტიანი მკურნალობის მიზნით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაძნელებულია მათი მომარაგება რენტგენოფირებითა და ქიმიკალებით.

დამსვენებელთა კურორტული მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბევრი სიახლეა დანერგხლი პანსიონატებში „კეჩხობსა“ და „პლატოზე“.

კურორტ ბორჯომის სანატორიუმი „ლიკანი“ უახლესი დანადგარ-მოწყობილობით აღიჭურვა, რომელიც ავადმყოფთა გამოკვლევას მთლიანად უზრუნველყოფს მოთხოვნათა დონეზე. კაბინეტ-ლაბორატორიები თანამედროვე სამედიცინო ტექნიკითა და უახლესი აპარატურით არის აღჭურვილი. მნიშვნელოვნად უმჯობესდება მკურნალობის მეთოდები და საშუალებები.

გაფართოვდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ექიმთა შორის. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობა სემინარები, კურსები.

წარმატებებთან ერთად არის პრობლემები, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად გადაუწყვეტელია.

კურორტ ბორჯომში შარშან ახალი საკურორტო პოლიკლინიკა უნდა აეშენებინათ. აშენდა, მაგრამ მრავალი სამშენებლო დეფექტით.

სამკურნალო დაწესებულებებში არასწორად ხდება ავადმყოფთა შერჩევა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის.

ნაკლები ყურადღება ექცევა კლიმატური მკურნალობის ორგანიზაციას ისეთ კურორტებზე, როგორიც არის ბორჯომი, ჯავა, უწერა.

ჯანმრთელობის კერებს აგრომრეწვი სათანადოდ ვერ ამარაგებს სასურსათო პროდუქტებით. შეფერხებებია ხილითა და ბოსტნეულით მათ უზრუნველყოფაში. ეს მდგომარეობა დამსვენებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

კურორტი მარტოოდენ სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი როდია, იგი უპირველესად ჯანმრთელობის, სამკურნალო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების კომპლექსია და ამ კუთხით უნდა განვიხილოთ მათ მიერ დამსვენებელთა მომსახურება.

ესაუბრა
**ეთერ ჯაფარიძე**



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ძნელბედობის დროის

ამას წინათ, ბელორუსიაში, გროდნოს ოლქის დაბებში დიატლოვოსა და ნოვოსელნიაში მოეწყო შეხვედრა ყოფილ ბავშვთა თავშესაფრისა და პიონერთა ინტერნაციონალური ბანაკის იმ აღსაზრდელებისა, რომლებიც 1941-1944 წლებში დიატლოვოს რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

ღრუბლიანი დილა იდგა, ჟინჟღლავდა. მაგრამ, ნაშუადღევს, როცა დიატლოვოს სასაფლაოზე ასობით ადამიანი შეგროვდა ომის მსხვერპლ ბავშვთა მემორიალის გახსნაზე, ქარმა გაფანტა ღრუბლები და ლაჟვარდისფერ ცაზე აკიაფდა მზე, გაანათა ლიანაცრისფერი მარმარილოს საზეიმო მონუმენტი, რომელსაც ამშვენებს ბრინჯაოს ბარელიეფი ქალისა და ბავშვთა გამოსახულებით.



აქ, დიატლოვოში, ბელორუსიის მრავალტანჯულ მიწაზე, ომის წლებში შეიქმნა მტრის მიერ ოკუპირებული რაიონებიდან მოგროვილ ობოლ ბავშვთა თავშესაფარი. აქ, დიატლოვოში, ერთ-ერთი მძიმე ეპიდემიის დროს, გარდაიცვალა 8-დან 10 წლამდე ასაკის 76 ნატანჯ-ნაგვემი ბავშვი. წლის თავზე გარდაიცვალა თავშესაფრის დირექტორი, პედაგოგი და პატრიოტი ვალენტინა გრიგოლის ასული კუპი. ისიც ბავშვების გვერდით დაკრძალეს.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. საპატიო ყარაულში გარინდულან პიონერები და მოსწავლეები, რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დიატლოვოსა და ნოვოსელნიას მკვიდრნი, და სტუმრები, მემორიალს ამკობენ ყვავილებით ისინი, ვისაც ომმა ბელორუსიის მიწა-წყალზე მოუსწრო ბავშვობისას: პოლეტ გლუკოზიო და იონკო ჩენგელოვი — ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიელები ვლასტა და დრაგომირა რენიაკები, ირმა ევერსი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, მოსკოველი ვლადიმერ მარხინი, ბელგოროდელი გალინა ანდრონიჩევა, ივანე შუტოვი — ვლადიმირის ოლქის ქალაქ პეტუშკიდან და სხვები — ოცდაათი მკაცრი ომიანობის ძნელბედობის დროინდელი ბავშვი...

...ეს მოხდა 48 წლის წინათ. 1941 წლის 17 ივნისს ბავშვები გამცილებლებთან და მშობლებთან ერთად შეიკრიბნენ მოსკოვის ბელორუსიის ვაგზალში. გაისმა ორთქლმავლის კივილი. მატარებელი ნელა დაიძრა. დიდხანს იქნევდნენ ფანჯრებიდან ცხვირსახოცებს ბავშვები. მაშინ არავინ იცოდა, რომ განშორება ხანგრძლივი და მძიმე იქნებოდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი შინ ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა...

ვაგონი ინტერნაციონალური იყო: პიონერთა ბანაკ „ნოვოსელნიაში" საბჭოთა ბავშვებს გარდა მიემგზავრებოდნენ ჩეხები და სლოვაკები, ბულგარელები და რუმინელები, ავსტრიელები და გერმანელები — სულ ოცდაერთი ბავშვი. ბევრი იმათგანი ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდა რუსული სახელითა და გვარით, რადგანაც მშობლები რევოლუციონერები იყვნენ და საზღვარგარეთ იატაკქვეშა მუშაობას ეწეოდნენ.

ფანჯრებს მიღმა მიცურავდნენ ქალაქები და სოფლები, ტყეები და ველები. ყოველივე ეს იყო საბჭოთა სამშობლო — უდიდესი ქვეყანა, რომელმაც მათ, პატარა პოლიტემიგრანტებს მშობლიური კეთილი ზრუნვა არ მოაკლო.

ვაგონში მხიარულება სუფევდა: ხან გაისმოდა მქუხარე „კოცონებივით აბრიალდით, ლურჯო ღამეებო!..." ხანაც საზეიმოდ ჟღერდა „ვრცელია ჩემი სამშობლო მხარე..." ბავშვები გულიანად ხარობდნენ: მათ მოელოდათ მხიარული არდადეგების დღეები სტუმართმოყვარე ბელორუსულ დაბაში.

დიდი საკოლო შენობა, რომელშიც ჩამოსულები მოთავსდნენ, პატარა მდინარე მოლჩადკის მახლობლად იდგა. მხიარულად იჟღერებოდა მშვიდობიანი მზე. იწყებოდა პიონერული ზაფხული.

1941 წლის 22 ივნისს, კვირადილით, ბავშვები მხიარული ჟივილ-ხივილით გაეშურნენ მდინარეზე საბანაოდ. უცბათ უზრუნველი სიცილი შეწყდა: ბავშვებმა დაინახეს უცხოური, უცნობი თვითმფრინავები, ისინი დაბლა-დაბლა მიფრინავდნენ აღმოსავლეთისაკენ, მათ ფრთებზე მოჩანდა შავი ჯვრები. ასე დაიწყო ომი...

...სასკოლო შენობის ერთ დიდ ოთახში უფროსი ბავშვები კამათობდნენ. ერთნი ამბობდნენ, მინსკიდან ჩვენს წასაყვანად გამოგზავნილ ავტობუსს დაველოდოთო (როგორც მრავალი ხნის შემდეგ გამოირკვა, იმ ავტობუსმა ვერ მიაღწია ნოვოსელნიამდე, გზაში დაბომბეს), სხვები გაიძახოდნენ, ფეხით წავიდეთ შინისაკენო.

ხუთმა 10-12 წლის ბავშვმა — ჩინელი კომუნისტების შვილებმა ლუტიკ იზმაილოვმა და იურა გოლოვინმა, ბულგარელმა იონკო ჩენგულოვმა, სლოვაკიელმა იულიკ გერუმ და რუსმა — იგორ ასტაფიევმა, რომლის მამაც ესპანეთში ინტერნაციონალურ ბრიგადაში იბრძოდა, თავიანთი წითელი ყელსახვევები საიმედოდ დამალეს და აღმოსავლეთისკენ გასწიეს. იმავე გზით მიდიოდა ადგილობრივი მოსახლეობა, ფაშისტებმა მშობლიური ადგილებიდან რომ აჰყარეს. დაღლილ-დაქანცულ, დატანჯულ ლტოლვილებს დრო-დადრო ფაშისტთა თვითმფრინავები გადაუფრენდნენ ხოლმე, ტყვიას წვიმასავით უშენდნენ.

მძიმე და ხანგრძლივი იყო შინისაკენ გზა. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ოკუპანტების მიერ გადაბუგულ მიწა-წყალზე ასობით კილომეტრი გაიარეს, ოთხმა პატარა ლტოლვილმა მოსკოვს მიაღწია. ლუტიკ იზმაილოვი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ომის გზებზე.

სხვებისთვისაც ასევე მძიმე და რთული იყო გზა შინისაკენ, მაგრამ დედებთან, მოსკოვში მაინც დაბრუნდნენ იტალიელი გოგონა პოლეტ გლუკოზიო, კორეელი ვალოდია მარსინი, გერმანელი ირმა ევერსი.



მწერალი ი. ანოხინი (შუაში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვები

...ბავშვები სასადილო ოთახში იხხდნენ, როცა ხმაურით გაიღო კარი და მკლავებდაკაპიწებული ორი ავტომატიანი ფაშისტი კაციჰამია გამოჩნდა. ერთმა მათგანმა დაიღრიალა: „კომუნისტები, ურიები ხართ? ბახბახ!...“ ავტომატების ლულები ბავშვებისკენ იყო მიშვერილი. მაგრამ იმ პირველმა ფაშისტებმა, ეტყობა, გადაწყვიტეს შეეშინებინათ ბავშვები, თავი გაერთოთ, გადაიხარხარეს და წავიდნენ. მერე სხვები მოვიდნენ, ბავშვები ქუჩაში გამოყარეს, სახლში კი ყაზარმა გამართეს.

ასე დამთავრდა უდარდელი, ბედნიერი ბავშვობა, დადგა ფაშისტური ოკუპაციის პირქუში დღეები, თვეები, წლები.

თავდაპირველად ბავშვები ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდნენ, ფარდულებში, სათივეებში ათევდნენ ღამეს, შემდეგ შეგროვდნენ ერთ ცარიელ სახლში, სადაც ბავშვთა თავშესაფარი მოაწყეს. ცივი და ნესტიანი იყო შენობა. ბავშვებს შიოდათ, სციოდათ, ვისაც როგორ შეეძლო, ისე შოულობდა საჭმელს, ძმურად იყოფდნენ შემონახულ პურსა და კარტოფილს.

1943 წლის გაზაფხულზე ბავშვები ნოვოსელნიადან დაბა დიატლოვოს თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც ბელორუსიისა და რუსეთის ოკუპირებული რაიონებიდან მოყვანილი სამასამდე ბავშვი იყო. თავშესაფარს ხელმძღვანელობდა მასწავლებელი ვალენტინა კეპი, რომელიც აქ ბავშვებთან ერთად ლენინგრადის ოლქიდან ჩამოვიდა.

იმავე ზაფხულში დაიწყო ბავშვების გაგზავნა გერმანიაში სამუშაოდ. სხვებთან ერთად წაიყვანეს დები ვლასტა და დრაგომირა რენიაკები, ემა ევერსი. ყოფილი პიონერთა ბანაკიდან ორი ბავშვიღა დარჩა: პოლეტ გლუკოზიო და ვალოდია მარსინი. შეშინებული ბიჭი ტიროდა, გრძნობდა, გამოუვალ მდგომარეობაში რომ იყო ჩავარდნილი.

— ნუ ტირი, ვოვკა, — ამშვიდებდა პოლეტი, — ჩვენები ახლოს არიან. მალე მოგვეშველება წითელი არმია და მოსკოვს გავემგზავრებით. ჩვენები ყველას გაათავისუფლებენ.

ფრონტი ახლოვდებოდა. 1944 წლის ივლისში ფაშისტებმა თავშესაფრიდან გამორეკეს ბავშვები და საქონლის გადასაყვან ვაგონებში შერეკეს, რომლებიც სამხედრო ეშელონს გამოაბეს და დასავლეთისაკენ გაუყენეს გზას.

— აი, ასე წავედით, — იხსენებს ვლადიმერ მარსინი, — არ ვიცოდით, სად, რისთვის მივყავდით!.. ჯარისკაცების ნასუფრალით გვკვებავდნენ. შიმშილს ვერ ვიოკებდით, გაჩერებისას ხელგაწვდილი ვმათხოვრობდით. მაგრამ, ეს საშიში იყო: ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორ მოკლეს ფაშისტებმა ბიჭუნა, რომელმაც მათ პური სთხოვა — ხელი სტაცეს და ლიანდაგზე გაუხეთქეს თავი.

ბავშვებმა ამ მატარებელს „სიკვდილის ეშელონი“ უწოდეს. ორ თვეს გასტანა საშინელმა მგზავრობამ, ფაშისტები ცდილობდნენ გერმანიისკენ გაეღწიათ, რათა წითელი არმიის შურისძიება აეცილებინათ თავიდან, აქეთიქით აწყდებოდნენ. ბავშვებით გაჭედილ ვაგონებში შიმშილი და სიკვდილი მძვინვარებდა. იმედგადაწურული ბავშვები ყოველ წუთს ელოდნენ, რომ დახვრეტდნენ ან ვაგონებიანად სადმე უფსკრულში გადაჩეხავდნენ.

როგორც იქნა, იმიერკარპატებამდე ჩააღწიეს, უჟგოროდის მახლობლად, დაბომბვის დროს, ბავშვებმა თავი დააღწიეს „სიკვდილის ეშელონს“ და ტყეს შეეფარნენ.

გაქცეულნი დიდხანს იმალებოდნენ ტყეში, ყველაფრისა ეშინოდათ, შიმშილისა და დაღლილობისაგან ფეხზე ვერ დგებოდნენ.

აქ ისინი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იპოვეს და ჩუმად ურმებით გადაიყვანეს სოფელ ჩერვენევოში. გლეხებმა ბავშვები შინაურებივით მიიღეს, დააპურეს, ჩააცვეს, სახლებში გაანაწილეს. სულსა და გულს არ იშურებდნენ პატარებისათვის!..

ორთვენახევარს ცხოვრობდნენ ბავშვები ამ სოფელში. 186 ბავშვი იხსნეს ჩერვენევოელებმა სიკვდილისაგან, მათ გერმანელთა შურისძიებისა არ ეშინოდათ.

დადგა განთავისუფლების დღეც. 1944 წლის 25 ოქტომბერს სოფელში საბჭოთა ტანკების კოლონა შევიდა. ეს იყო მე-18 არმიის ავანგარდი, რომელიც გაქცეულ მტერს მისდევდა. თვითნაკეთი წითელი დროშით ხელში შეეგებნენ ბავშვები ტანკისტებს, ყვიროდნენ, ტიროდნენ, იცინოდნენ.

მალე ბავშვები ქალაქ მუკაჩევოს სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, დიდხანს მკურნალობდნენ. შემდეგ, ზოგი მშობლებმა მოძებნეს და შინ წაიყვანეს, სხვები საბავშვო სახლებში გაანაწილეს.

ვალოდია მარსინი მოხვდა ორიოლის ოლქის სოფელ ნოვოსელსკოეს საბავშვო სახლში. მაგრამ, მან იქ მცირე ხანს დაჰყო — სულ სამ თვეს — მის წასაყვანად დედა ჩამოვიდა. ბიჭმა უმალ ვერ იცნო ეს პატარა, უზომოდ ახლობელი ქალი. და მხოლოდ, როცა მან გულში ჩაიკრა ბავშვი, და ატირდა, მაშინღა მიხვდა: „დედა!...“

პოლეტ გლუკოზიო მოსკოვში დაბრუნდა ორიოლის ოლქის ნეკრასოვოს საბავშვო სახლიდან, 1945 წლის 8 მაისს გამარჯვების წინა დღეს. მეორე დღეს დედასთან ერთად ბედნიერებისაგან თვალზე ცრემლმომდგარი ხელიხელჩაკიდებული სეირნობდა მოდღესასწაულე მოსკოვში.

...ვლასტა რენიკი გერმანელებმა გაგზავნეს კენიგსბერგის მახლობლად, სამხედრო ქარხანაში სამუშაოდ. საბოტაჟისათვის გოგონა დააპატიმრეს და რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. იგი სხვა ტყვეებთან ერთად გამოიხსნა საბჭოთა არმიამ. დები ვლასტა და დრაგომირა ერთმანეთს შეხვდნენ გამარჯვების შემდეგ, მოსკოვში.

მშობლიური ლუპელიდან ჩერვენევომდე სხვა ბავშვებთან ერთად ჩავიდნენ გალინა ანდრონჩიკი და მისი პატარა ძმა ტოლია. მათი მამა ფრონტზე დაიღუპა, დედა კი ფაშისტებმა დახვრიტეს.

ივანე შუტოვმა — სმოლენსკის ოლქის სოფელ ბოლშოე სიროკვაშინოდან — დაკარგა დედა, რომელიც გერმანელებმა დახვრიტეს პატარა ვანიასა და მისი დების თვალწინ. ორი უმცროსი და — დუნია და ტანია — ბარანოვიჩის მახლობლად საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა, უფროს დასთან — სონიასთან ერთად ივანე „სიკვდილის ეშელონით“ ჩავიდა ჩერვენევოში.

ომის დამთავრებიდან 48 წელი გავიდა. უკვე დავაჟკაცდნენ და ჭაღარით შეიმოსნენ ძნელბედობის დროინდელი ბავშვები, გაიზარდნენ მათი ბავშვები, შეემატათ შვილიშვილები. მაგრამ ვერ დაუვიწყნიათ ის საშინელება და გასაჭირი, რომელიც საბჭოეთის მიწა-წყალზე მოიტანა ფაშისტებთან ომმა. ჯერ კიდევ ცოცხლობს ხსოვნა უთვალავი მსხვერპლისა, ჩვენმა ხალხმა რომ გაიღო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამიტომაც შეხვედრის მონაწილეთა მოწოდებაზე: „ომისდროინდელი ბავშვები — ომის წინააღმდეგ!“, რომელიც გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობათა ხელმძღვანელებს, პირველებმა მოაწერეს ხელი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მომსახურებისა და ნაგებობების მწარმოებელთა და მომხმარებელთა საბჭოს მდივანმა სოფიელმა იონკო ჩენგულოვმა, სოფიის ერთ-ერთი სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა პოლეტ გლუკოზიომ, ჩეხოსლოვაკიელმა ინჟინერმა და კინემატოგრაფისტმა პრაღელმა დებმა ვლასტა და დრაგომირა რენიაკებმა, გერმანელმა ჟურნალისტმა ირმა ევერსმა, ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, მოსკოველმა ვლადიმერ მარსინმა, კოოპვაჭრობის ბელგოროდის სასურსათო მაღაზიის მუშაკმა ვალინა ანდრონიჩიკმა, პეტუშკის აგროსამრეწველო კომპლექსის პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე შუტოვმა და ომის ძნელბედობის დროინდელმა სხვა ბავშვებმა, რომლებიც შეიკრიბნენ ბელორუსიის მიწაზე. და, როგორც საკუთარი სისხლით დაწერილი, გაისმის იმათი ფიცის სიტყვები:

„დღეს ჩვენ — დედები და მამები, ბებიები და პაპები, ვცხოვრობთ ერთი აზრით, ერთი სურვილით: დაე, არც ერთი ბავშვობა დედამიწაზე არ დაიდაღოს სისხლით, როგორც ჩვენი ბავშვობა, დაე, არც ერთი ბავშვი არ შეეწიროს ომის სისხლიან კოშმარს, დაე, ჩვენი დედამიწა იყოს მშვიდობის, ბედნიერებისა და მშობლიური სითბოს პლანეტა!...“

იური ანოხინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ლუბა შეწირული,*
*პროფესორი.*

# საშიში დაავადებანი

ბოლო ათეული წლის მანძილზე თითქმის სრულიად შეიცვალა შეხედულება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე. თუ წინათ ამ ჯგუფს მხოლოდ ოთხი სახის ვენერული დაავადება განეკუთვნებოდა, ამჟამად ამ დაავადებების 20-მდე გამომწვევია ცნობილი და ვენერული დაავადებების თითო შემთხვევაზე — 4-5 არავენერული დაავადება მოდის. მათ შორის დღეისათვის უფრო გავრცელებულია ქლამიდიოზი, მიკოპლაზმოზი და გარდერელოზი. მსოფლიოში ყოველდღიურად ამ ინფექციებით დაავადებული 800 მილიონზე მეტი ავადმყოფი ვლინდება. არავენერულ დაავადებათა გამომწვევების უმეტესი ნაწილი უჯრედშიგა პარაზიტებია, რომლებიც არა მხოლოდ მცირე მენჯის ორგანოებს აზიანებენ, არამედ ორგანიზმში მათი გენერალიზაციის გამო, შეიძლება დააზიანდეს ფილტვები, ელენთა, ღვიძლი, თავისა და ზურგის ტვინი, რაც სხვადასხვა სახის მძიმე გართულებების განვითარებას განაპირობებს. ქლამიდიოზი ზოგჯერ მწვავე ენცეფალიტის მიზეზიც ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ვენერულ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები დღითიდღე მარტივდება, როცა არავენერულ დაავადებათა გამომწვევების ჯერ მხოლოდ ნაწილია ცნობილი. ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სირთულისა და მკურნალობის არასრულყოფილი მეთოდების გამო მათი გამოვლინება დროულად არ ხდება და ისინი სწრაფად ვრცელდებიან.

საგრძნობლად გახშირდა ერთდროულად რამდენიმე აგენტით, ანუ შერეული ინფექციით გამოწვეული შარდსასქესო ორგანოების ანთებითი პროცესები; კერძოდ, მათი 60 პროცენტი განპირობებულია ორი ან მეტი აგენტით. მონოინფექციურ პროცესთან შედარებით, ეს ფორმები გაცილებით ხშირად იწვევს გართულებებს და მათ შორის ყველაზე მეტად მამაკაცისა და ქალის უშვილობას, საშვილოსნოს გარეშე ორსულობას, ნაადრევ მშობიარობას, ნაყოფის დაღუპვას, ახალშობილთა პნევმოპათიას და მოულოდნელ, უმიზეზო სიკვდილს. ამიტომ ეს გლობალური, განსაკუთრებით აქტუალური სოციალური პრობლემაა, რადგან მსოფლიოში მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის ნამატი. აღრიცხულია 50-80 მილიონი უშვილო წყვილი, რაც მოსახლეობის 8—15 პროცენტს შეადგენს, მათ შორის 60 პროცენტი ქალია.

მოსახლეობის აღწარმოებას არასამედიცინო (სოციალურ ეკონომიკური) და სამედიცინო ფაქტორთა მთელი კომპლექსი განაპირობებს, კერძოდ: ქალების დიდი ნაწილის დასაქმება ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ქალებისათვის სრულიად შეუფერებელი, მძიმე სამუშაოს შესრულება, შრომისა და ყოფაცხოვრების შესაფერისი პირობების უქონლობა, ურბანიზაცია და სხვა.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია მეტად არადამაკმაყოფილებელი რჩება და ეს პრობლემა სულ უფრო მწვავდება. მრავალშვილიანობა რესპუბლიკაში ისე შემცირდა, რომ ასეთი ოჯახები, როგორც იტყვიან, სანთლით საძებარია და რაოდენ სასიხარულოა, როდესაც გვესმის, რომ ჯერ კიდევ გვხვდება 4—5 შვილიანი ოჯახები.

მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის დაბალ დონეს საქართველოში განაპირობებს ერთის მხრივ, ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის ჯერ კიდევ მაღალი მაჩვენებელი და მეორეს მხრივ, შობადობის დაბალი დონე. შობადობის მაჩვენებელი 1960 წელთან შედარებით რესპუბლიკაში 27,5 პროცენტით შემცირდა, სიკვდილიანობის მაჩვენებელი 35,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ბუნებრივი ნამატი 50-პროცენტით შემცირდა. მოსახლეობის საშუალო წლიური ბუნებრივი მატების ტემპი რესპუბლიკაში დაბალია და მხოლოდ 0,61 პროცენტს შეადგენს. აქსელერაციის პროცესის სულ უფრო მკვეთრად გამოხატვის მიუხედავად ქართველი ქალების უმეტესი ნაწილი, მაინც გვიან თხოვდება; მატულობს მარტოხელა დედების რიცხვი.

შობადობის შემცირებასთან ასევე პირდაპირ კავშირშია უნაყოფო ქალებისა და მამაკაცების სისტემატური მატება. ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის მონაცემებით ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ანუ სამედიცინო მიზეზით, რესპუბლიკა ყოველწლიურად 7—8 ათას ბავშვს კარგავს.

გახშირდა ხელოვნური აბორტის რიცხვი, რაც ყოველწლიურად 200 ათასამდე აღწევს. არც კრიმინალური აბორტების რაოდენობა მცირდება. უშვილობის პროფილაქტიკაში კი აბორტების წინააღმდეგ ბრძოლა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აბორტის შედეგად ქალების 50—80 პროცენტს სხვადასხვა სახის გართულებები უვითარდება, რაც უშვილობის მეორადი მიზეზი ხდება.

უშვილობის ერთერთ ძირითად მიზეზად შიდასასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები ითვლება, მათ შორის კი მნიშვნელოვანი ადგილი ვენერულ და სქესობრივი გზით გადამდებ არავენერულ დაავადებებს განეკუთვნებათ. რადგან ისინი ხშირად საშვილოს მილების გაუვალობით რთულდება. ვენერული დაავადებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია გონორეული ინფექცია, რაც უნაყოფობის მიზეზი ხდება. გონორეით დაავადების შედეგად (სამკურნალო დაწესებულებებისათვის დაგვიანებით მიმართვის ან უეფექტო მკურნალობის შემთხვევაში (უშვილობა, ან ერთი შვილი) უშვილობა, (თუ ინფიცირება პირველი მშობიარობის შემდეგ მოხდა) ვითარდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რიგ ქვეყნებში გონორეის ეპიდემია გავრცელდა. თანდათან გახშირდა გონოკოკების რეზისტენტულობა ანტიბიოტიკებისადმი და მისი უსიმპტომო, ან სუსტად გამოხატული კლინიკური ნიშნებით მიმდინარეობა, რაც ართულებს დროულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

ბოლო წლებში უშვილობის უფრო სერიოზულ მიზეზად ქლამიდიოზი ითვლება. ისიც ასევე სქესობრივი გზით ვრცელდება. გონორეით დაავადებულთა შორის ყოველი მესამე, ერთდროულად ინფიცირებულია ქლამიდიით. ქლამიდიოზი ამჟამად უნაყოფობის მნიშვნელოვანი ეტიოლოგიური ფაქტორია, რადგანაც ქლამიდიოზით დაავადებული ქალების 60—90 პროცენტს ისეთი გართულებები უვითარდება, რაც უშვილობით მთავრდება. გონორეული და ქლამიდიოზური ენდოცერვიციტის (საშვილოსნოს ყელის ანთების) შემთხვევაში, ხელოვნური აბორტის შედეგად ავადმყოფთა 60 პროცენტს აღმავალი ინფექციური გართულება აღენიშნება, საშვილოსნოსა და მისი დანამატების ანთებითი პროცესი კი უნაყოფობით მთავრდება. ისიც დადგენილია, რომ სპონტანური აბორტები 20—40 პროცენტში გამოწვეულია ქლამიდიოზით და ურეაპლაზმოზით. ამ დაავადებათა გართულებების განვითარებას ხელს ისიც უწყობს, რომ ავადმყოფთა 60 პროცენტს სუბიექტური და ობიექტური მოვლენები არა აქვს, ე. ი. დაავადება ასიმპტომურად მიმდინარეობს. მწვავე და ქრონიკული ფორმების დროს კი ავადმყოფს გაურკვეველი ეტიოლოგიის ტემპერატურა აქვს, მუცლის ქვემო ნაწილში აწუხებს ტკივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები და სხვა. მამაკაცებს კი ურეთრიტის გარდა, აღენიშნებათ პროსტატისა და ეპიდიდიმიტის მოვლენები.

მამაკაცების უნაყოფობას, ზემოაღნიშნული დაავადებების გარდა, ათაშანგი და ტუბერკულიოზიც იწვევს, რომლებიც მამაკაცის სათესლე ჯირკვლების ფუნქციაზე მოქმედებს და სპერმის გამომტანი მილის გაუვალობას ქმნის. ზოგჯერ გარეთა სასქესო ორგანოებში სისხლის მიმოქცევის დარღვევის, სათესლე ჯირკვლების ირგვლივ ვენების გაფართოებისა და სისხლის შეგუბების გამო, ადგილობრივი ტემპერატურა მატულობს, რაც ჯირკვლის ფუნქციას აქვეითებს. ალკოჰოლი, ნერვული სტრესები, ანტიბიოტიკებისა და ანტიდეპრესანტების გამოყენება ასევე ამცირებენ სპერმის გამოყოფას და უნაყოფობა ვითარდება.

კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან წლების მანძილზე თანამშრომლობს. შესწავლილია 3000-ზე მეტი ავადმყოფი და უშვილო წყვილი. გამოკვლეულ ავადმყოფთა 82 პროცენტს სხვადასხვა სახის გამომწვევი აღმოაჩნდა. უშვილო ქალების 54 და მამაკაცების 41 პროცენტს გონორეის გარდა, ქლამიდიოზი და ურეაპლაზმოზი გამოუვლინდათ. უნაყოფო ქალთა 58 და მამაკაცთა 33 პროცენტში უშვილობის მიზეზი ცუდად ნამკურნალები გონორეა ან მისი გართულებული ფორმები იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქლამიდიოზი, ამჟამად შარდსასქესო ორგანოების ყველაზე გავრცელებული, მძიმე ასპტომური დაავადებაა და სხვადასხვა გართულებებით მიმდინარეობს, მაშინ გასაგები გახდება ამ დაავადებათა დროული გამოვლინებისა და მკურნალობის დიდი მნიშვნელობა უნაყოფობის პროფილაქტიკაში. ჩვენი მონაცემებით ასეთი უნაყოფო პაციენტების 20—30 პროცენტი მკურნალობის შედეგად შეიძლება ნაყოფიერი გახდეს.

ვენერულ დაავადებებისა და უშვილობის შემცირებაში მთავარია პროფილაქტიკა. სხვა თუ არა, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილება ხომ თითოეულ მოქალაქეს შეუძლია ზნეობრივი სიწმინდის დაცვით და ამ დაავადებებზე საეჭვო მოვლენების შემჩნევისას სპეციალიზებული დაწესებულებისათვის დროული მიმართვით.

ზემოაღნიშნულ ინფექციებზე გამოკვლევას საჭიროებენ: ყოველი უშვილო წყვილი, მამაკაცები ურეთრიტის, პროსტატისა და ეპიდიდიმიტის მოვლენებით, ქალები მცირე მენჯის არეში ტკივილებითა და დისკომფორტით გენიტალიუმის არეში. ეს გამოკვლევები ჯერ მხოლოდ კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტშია მოგვარებული (ნინოშვილის ქ. № 55) სადაც საკონსულტაციო განყოფილებაში ჩვეულებრივი თუ ანონიმური ნილების კაბინეტებში მოგემსახურებათ კვალიფიციური სპეციალისტები.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა სამთავრობო დემოგრაფიული კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის პროექტი. პროგრამაში ფართოდ აისახა რესპუბლიკის დემოგრაფიული მდგომარეობის აქტუალური პრობლემები და დაისახა ეფექტიანი ღონისძიებები. ამავე დროს, სოციალური და სექსუალური ქცევების შეცვლით, ყველამ გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში — ერის აღწარმოების მატებაში.

## რედაქციას უპასუხებენ

# „როცა ბავშვი სკოლაშია“

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1989 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ პუბლიკაციას უპასუხებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს მოსწავლეთა კვების № 2 კომბინატის დირექტორი გ. ვაშაძე.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს მოსწავლეთა კვების №2 კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე განიხილეს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1989 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებული სტატია — „როცა ბავშვი სკოლაშია“, და მასში მოყვანილი კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც ეხება თბილისის პირველი მაისის რაიონის №169-ე და №166-ე საშუალო სკოლებში გახანგრძლივებული ჯგუფების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და დამახინჯებებს.

კომბინატის საკონდიტრო საამქროს ბრიგადირს ა. სულაქველიძეს, კულინარული საამქროს მეხუთე თანრიგის მზარეულს მ. ბადაშვილს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მოსწავლეთა ხარისხიანი ნაწარმით მომარაგება, გამოეცხადათ საყვედური. №169-ე სკოლის მებუფეტე-მზარეული მ. ქებაძე, უხარისხო კერძების მომზადებისა და მენიუს თვითნებურად შეცვლისათვის განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. კომბინატის წარმოების უფროსი ჯ. ფხაკაძე მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

კომბინატის ტექნოლოგიურ ლაბორატორიას დაევალა მკაცრი კონტროლი დააწესოს საამქროების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე და ყოველდღიურად უზრუნველყოს მათი შემოწმება იმ ვარაუდით, რომ არცერთი სახის პროდუქცია არ იქნას გაშვებული სკოლებში შემოწმების გარეშე.

სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დამყარების მიზნით, სასკოლო არდადეგებთან დაკავშირებით კომბინატში ამჟამად მიმდინარეობს რემონტი, რომლის დროსაც გათვალისწინებულია იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რაც აღნიშნული იყო სტატიაში. ახალი სასწავლო წლისათვის კომბინატი დამატებით შეივსება 15,0 ათასი მანეთის ახალი სავაჭრო-ტექნოლოგიური დანადგარებით და 22,5 ათასი მანეთის ჭურჭლითა და ინვენტარით.

სასწავლო წლის დაწყებიდან ბავშვთა კვების გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით, საზკვების სამმართველომ დასვა საკითხი საწარმოო გაერთიანებების — „თბილხორცისა“ და „თბილრძის“ წინაშე კომბინატი ყოველდღიურად უზუნველყონ მაღალი ხარისხის, წვრილად დაფასოებული ხორცით, ხორცის პროდუქტებით, რძით, რძემჟავა პროდუქტებით, დოზირებული სოსისით და სხვა ასორტიმენტის პროდუქტებით.

ეთხოვა „საქაგრომრეწვს“ მოსწავლეთა კვების კომბინატი მიამაგრონ ისეთ ახლომდებარე მეურნეობას, რომელიც უწყვეტლივ უზრუნველყოფს სასკოლო სასადილოების მომარაგებას მაღალხარისხოვანი ხილით, ბოსტნეულით, კარტოფილით და სხვა ფართო ასორტიმენტის პროდუქტებით.

ასევე ეთხოვა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გადასინჯოს ბავშვთა კვების ნორმები და შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა მეცნიერულად დასაბუთებულ მოთხოვნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუმორესკა



# ჩაი

ამბავი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, იტალიის კურორტ ლუკაში მოხდა.

აქ ის ფილოსოფიური მორალია, ზოგჯერ ჩვენდა უნებურად, სასაცილონი რომ ვხდებით ხოლმე.

განა დამნაშავე ვარ, კარგი გემოვნება რომ მაქვს და მშვენიერი ჩაი მიყვარს? მადლიერების გრძნობა საკმაოდ გამაჩნია და ლუკას კურორტზე გულითადად ვაქებდი სახლის პატრონს, რომელიც ისეთ შესანიშნავ ჩაის მიდუღებდა, რომლის მსგავსიც არასოდეს დამელია.

ჩემს აღტაცებას ხშირად ერთ ქალბატონს ვუზიარებდი, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა.

— განა რა არის ასეთი?! — თქვა ერთხელ ღიმილით ინგლისელმა ქალბატონმა. მე საგანგებოდ ლივორნოდან მომდის ჩაი, რომელიც ყველაზე დიდებულად ითვლება.

— მაგრამ, მოწყალეო ქალბატონო, — მივუგე მტკიცედ, დარწმუნებული ვარ, ჩემი ჩაი გაცილებით უკეთესია.

მილედი და სხვა ქალბატონები, რომლებიც იმ დროს შემთხვევით იქ იყვნენ, ჩაიზე დავპატიჟე და შემპირდნენ, რომ მეორე დღეს, ექვსი საათისათვის შეიკრიბებოდნენ ხის ძირას დადგმულ მაგიდასთან, საიდანაც მთელი იმ მიდამოების წარმტაცი და მომაჯადოებელი ხედი იშლება.

დადგა დათქმული დრო. სუფრა გაშალეს, ბუტერბროდები გაამზადეს, მაგრამ ჩაი იგვიანებდა. ქალებს მოუთმენლობა დაეტყოთ. უკვე შვიდის ნახევარი გახდა, ბინდის ჩრდილები შავად გაწვნენ მთის ძირას, მაგრამ ჩაის მოტანას საშველი არ დაადგა. ჩამავალი მზის სხივები მხოლოდ მთის მწვერვალებსღა აშუქებდნენ და მე ქალბატონების ყურადღება გავამახვილე იმ ფაქტზე, რომ მნათობი გულგრილად სტოვებდა მანდილოსანთა ამ ბრწყინვალე საზოგადოებას... ჰო, ეს ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ჩაი მაინც არა ჩანდა.

ბოლოს და ბოლოს დამწუხრებული სახით მოვიდა ჩემი სახლის პატრონი და გვკითხა: — ჩაის ნაცვლად ლიმონათს ხომ არ მიირთმევთო. ჩვენ ყველამ ერთხმად მოვითხოვეთ, რომ აუცილებლად ჩაი უნდა მოეტანა.

— თანაც ისეთი, როგორსაც ყოველდღიურად ვსვამ, ზუსტად იგივე, — დავუმატე მე.

— ეგ შეუძლებელია, — მომიგო მან.

— რატომ არის შეუძლებელი?! — წამომოვიძახე უკმაყოფილოდ.

სახლის პატრონს თანდათან უფრო მეტი შეშფოთება დაეტყო სახეზე. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, აღიარა ის, რამაც საიდუმლოს ფარდა ახადა.

თურმე ჩემი სახლის პატრონი გამოცლილ ჩაიდანში კვლავ ადუღებულ, ცხელ, სუფთა წყალს ასხამდა და ჩაი, რომელიც მე ასე მომწონდა, სხვა არა იყო რა, თუ არა მეორე ნაყენი იმავე ჩაისა, რომელიც ჩემს მეზობლად მცხოვრებ ინგლისელ ქალბატონს ლივორნოდან მოსდიოდა.

ლუკას კურორტის ირგვლივ ჩამწკრივებულ მთებს არაჩვეულებრივი ექო აქვთ და მათ ქალბატონების გულიანი ხარხარი მრავალჯერ გაიმეორეს.

გერმანულიდან თარგმნა
**შ. ამირანაშვილმა.**

# პრივეტ, ქოჩოვო!

მივიღე შენი დეპეშა ნოვოსელიას პრიჩინით რო იწერები. შენი სპისოკით აკოშკის რუჩკები გიშოვნე დვადვაცატიანი, კუხნის სტოლიზა როზვი სტოლსაფარი ვიყიდე ვარდებიანი. პაკრივალა კლეჩატია. სპალნის კრაოტები სეტკიანია, უმატრასო. ზანავესკები ბლედნა კარიჩნია. ვიყიდო? პოლის კრასკა გიშოვნე! კისტები მოსკოვშიაო, მითხრა აგრაფინა პეტროვნამ. კაროჩე, პროსტინები და ნავოლოჩკები კოფესმოლოკოს ფერია. ვიყიდო? საპოჟკები სარაკავოი გათავებულა, მხოლოდ ტრიტცატპიატებიღა დარჩა, ზელიონები. ბასანოშკებს ზამთარში გიშოვნი! გუშინ პერერივზე ოჩერედში გევიგონე, რაცხა იმპორტნი კოფთები მიუღიათ, კრუჟოვიანები! ტოჩნად არ ვიცი სად. გევიგებ და აგიღებ ლუბოჩკასთვის, თუ გინდა! პერესტროიკასთან დაკავშირებით ლოდოჩკები გამოუშვეს ინდპოშივში. ბარხატნებია! ამას პადარკად გიგზავნი! პრივეტები ვერიჩკასთვინ! ჰამლეტი, რიჩარდი და ნაპოლეონი გემდურიან. რეიზა წერილს არ იწერებაო. აბა, შენ იცი, არ დაგვივიწყო! შენი ნაჩუქარი „მოუეტ ბიტ" მითავდება! ფრანგული დუხი თუ სადმე ნახო, წამეიძლვანიე. აქოური გოგოები გიჟდებიან მაგიზა! აბა, შენ იცი, სამალოტით მოგვიფრინდი, აწი! კანეშნო, წინასწარ მიდეპეშებ! იმფერ შაშლიკებს დაგახვედრებ, გადირევი! კატუშა მოკვტა, საწყალი! გუშლამ ნადიე ჩამევიდა ჩიკაგოდან, ქელეხს კი მოესწრო. ვსიო!!!

**ლია სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



1. იტალიელი კომპოზიტორი. 2. ფრანგი რეჟისორი და თეატრალური მხატვარი. 3. განსაკუთრებული ნიში. 4. გერმანელი მოჭადრაკე. 5. ბულგარეთის ქალაქი. 6. მინერალი. 7. სახელმწიფო ფულადი დახმარება. 8. შაქრიან წყალში მოხარშული სხვადასხვა ხილი 9. ნაკლი, ზადი, ხარვეზი. 10. ადამიანი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულ მხარეს, წვრილმანებს და ამასვე მოითხოვს სხვებისაგან. 11. კერძების ჩამოთვლა. 12. ხელმძღვანელი ორგანო. 13. სავაჭრო სადგომი. 14. დიდი საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები. 15. სასაცილო, სასეირო ამბავი. 16. წყალგაუმტარი ნივთიერებით გაჟღენთილი ქსოვილის ერთი პირი. 17. აზიის სახელმწიფო. 18. ნაცარტუტაში გამოხარშული ხის ერთგვარი სოკო. 19. მერქნიანი მცენარე. 20. ძველებური ქართული საცხოვრებელი სახლი. 21. მეცნიერების რაიმე დარგის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლიობა უმაღლეს სასწავლებელში. 22. ნახშირბადის ნაერთი ლითონთან. 23. თანამედროვე ცეკვა. 24. წელთაღრიცხვის სისტემა. 25. თოვლზე სასრიალო საზიდარი. 26. დამოუკიდებელი დაწესებულება. 27. უ. შექსპირის ნაწარმოების პერსონაჟი. 28. ქართული ჯგუფური ცეკვა. 29. მტაცებელი ფრინველი. 30. მშვილდით სატყორცნი ჯოხი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა

# რჩევები

ჩრჩილის პრობლემა ყველა დიასახლისს აწუხებს. ახლა ნაფტალინიც არ იშოვება და აკრძალეს კიდეც მისი ხმარება. არადა, ჩრჩილი ზაფხულში თავის მავნე „სამუშაოს" ასრულებს და ანადგურებს ჩვენს ტანსაცმელს, ნოხებს თუ სხვა შალის ნაწარმს. ამის გარდა, იგი განჯინაში მოთავსებულ პროდუქტებთანაც კარგად გრძნობს თავს.

ჩრჩილის გასანადგურებლად განჯინაში რამდენიმე ადგილზე ფინჯანით დადგით მძაფრი ძმარი, ან დააწყვეთ ალაგ-ალაგ კაკლის ფოთლები. კაკლის ფოთლები ასევე შეგიძლიათ მოხერხებულად დააწყოთ ტანსაცმლის კარადაშიც.

ძალიან კარგია ფორთოხლის და ლიმონის კანიც, რომელიც მთელი წლის განმავლობაში შეგიძლიათ მოაგროვოთ.

*

კარტოფილის „პიურე" რომ თეთრი და მადისმომგვრელი შესახედავი იყოს, ათქვიფეთ აუცილებლად ცხელ და არა ცივ რძეში.

*

მაცივარში თავლიად შენახული ყველი შრება და იფშვნება; ასეთი ყველი „გასაახლებლად" ცოტა ხნით მოათავსეთ ცივ რძეში, ხოლო ყველი რომ კარგად შეინახოთ, მოათავსეთ თავდახურულ ქვაბში, დაუდეთ გვერდით 3-4 ნატეხი შაქარი და შედგით მაცივარში.

*

მწვანე ლობიოს ხარშვის დროს თუ ჩაუმატებთ 1 სუფრის კოვზ შაქრის ფხვნილს, ლობიო არ გაყვითლდება და სასიამოვნო მწვანე ფერს შეინარჩუნებს.

*

სარეცხის ფხვნილებისაგან რეცხვით ხელები უხეშდება და ფრჩხილებთან ზოგჯერ იქერცლება კანი. დღის ბოლოს, დაღლილი და გაუხეშებული ხელები 5-10 წუთით მოათავსეთ თბილ ზეთში, შემდეგ დაიბანეთ და მკვებავი წაისვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ყველაფერი ბადრიჯნისაგან

ყველა თადარიგიან დიასახლისს მარილი, ხმელი სუნელი, ხახვი, ნიორი, ბრინჯი და ზეთი ყოველთვის აქვს მომარაგებული, მაიონეზიც და ახალი არაჟანიც თითქმის მუდამ აქვს მაცივარში. აი, ნიგვზის მომარაგება კი, მისი სიძვირის გამო, ცოტა ძნელია, მაგრამ სასურველი კია ნახევარი კილო გარჩეული ნიგოზი როგორმე შემოვინახოთ, აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენვე რომ მოგვანიჭოს სიამოვნება, მაშინ, როდესაც ოჯახში არაფერი გვაქვს ბადრიჯნის გარდა. ბადრიჯნისაგან კი შეგვიძლია ერთ დღეს სხვადასხვა სახის კერძი მივიტანოთ სუფრაზე.

### ბადრიჯნის ნაირსახეობა

ყველა სახის ბადრიჯნის კერძის მომზადებამდე დაჭრილ ბადრიჯანს უნდა მოაყაროთ მარილი, გააჩეროთ 10-15 წუთს და შემდეგ გაწუროთ, რათა გაუვიდეს შავი, მწკლარტე წვენი. შემდეგ მოამზადეთ რა სახითაც გნებავთ:

### ბადრიჯანი ბაჟეში

გრძლად და ბრტყლად ან მრგვალად დაჭრილი ბადრიჯანი შეწვით ზეთში, გააციეთ და მოათავსეთ ჩვეულებრივი წესით მომზადებულ ბაჟეში.

თუ ნიგოზი არა გაქვთ, დანაყილი ნივრით, ქინძით (სასურველია ყვავილოვანი ქინძი) და მარილით შეაზავეთ არაჟანი და გამოიყენეთ ბაჟეს მაგიერ.

### ბადრიჯანი—„სოკო"

ძალიან წვრილად (პატარა კუბებივით) დაჭრილი 1 კილოგრამი ბადრიჯანი მოშუშეთ ზეთში 300 გრამ წვრილად დაჭრილ ხახვთან ერთად. კარგად რომ მოიშუშება, შეაზავეთ მარილით და ცივს, სუფრაზე მიტანისას, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი.

### ბადრიჯანი ბრინჯით

მთელ-მთელ ბადრიჯნებს ამოუსუფთავეთ გული, ამოავსეთ ბრინჯით (ბრინჯი ძალიან არ მოხარშოთ, გადაავლეთ მდუღარე წყალი, გაწურეთ და შეაზავეთ მოშუშული ხახვით და შავი პილპილით), დაალაგეთ სქელძირიან ტაფაზე, დაასხით ზეთი, დაახურეთ ტაფას ხუფი და შედგით ნელ ცეცხლზე. დროდადრო ბადრიჯანი გადააბრუნეთ. შემწვარი ბადრიჯანი დააწყეთ გაშლილ თეფშზე ან შესაფერის ლანგარზე, გააცივეთ, ყველას სათითაოდ გადაუსვით მაიონეზი ან ქინძით და ნივრით შეზავებული არაჟანი და ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი ან კამა.

### ბადრიჯანი კვერცხით

მრგვლად ან ბრტყლად (თქვენი სურვილის მიხედვით) დაჭრილი ბადრიჯანი ოდნავ შეწვით, შემდეგ ამოავლეთ გათქვეფილ კვერცხში და დაასრულეთ მისი შეწვა. შემწვარი ბადრიჯანი დატოვეთ ტაფაზე, ზემოდან დაასხით ათქვეფილი კვერცხი, შედგით გაზქურის ღუმელში და გააჩერეთ იმდენხანს, ვიდრე კვერცხი ზემოდან შეიბრაწება.

---

## ხენდროს ჟელე

მასალა: 1 ლიტრი წყალი, 600 გრ შაქარი, 60 გრ ჟელატინი, 1 ღვინის ჭიქა თეთრი ღვინო, 1 კილოგრამი ხენდრო, ლიმონმჟავა (რამდენსაც მოითხოვს გემოვნებით).

ჟელატინს ვალბობთ ადუღებულ ცივ წყალში (40-50 წუთით). შემდეგ დამბალ ჟელატინს ვაყრით 600 გრ შაქარს, 500 გრ ხენდროს, ვდგამთ ცეცხლზე და ვურევთ ვიდრე კარგად არ გაიხსნება. შემდეგ გადმოვდგამთ ცეცხლიდან, ვამატებთ 1 ჭიქა ღვინოს, ცოტა ლიმონმჟავას, რის შემდეგაც ვწურავთ საცერში ისე, რომ ნაყოფი არ გაისრისოს, რათა წვენი გამჭვირვალე გამოვიდეს. ფორმა ჟელესათვის ჩადგით ცივ წყალში ან დადგით ყინულზე და მერე ჩაასხით სითხე თანდათანობით. ნელნელა ჩასხმა აუცილებელია, რათა ფორმიდან გადმოღებისას კარგად გადმოვიდეს. ხენდროს ნაყოფი შეგიძლიათ ჩაალაგოთ ჟელეში გაცივებამდე, ნაწილი კი გამოიყენოთ ზემოდან მოსართავად. ვიდრე ფორმას გადმოაპირქვავებთ 1 წამით დადგით ცხელ წყალში დასველებულ გაწურულ ტილოზე და ჟელე კარგად გადმოცურდება ჭურჭლიდან.

## ალუბლის ჟელე

მასალა: 1 კგ ალუბალი, 700 გრ. შაქარი, 60 გრამი ჟელატინი, ლიმონმჟავა, 1 ლიტრი ადუღებული ცივი წყალი.

დაალბეთ ჟელატინი ნახევარ ლიტრ ადუღებულ ცივ წყალში 40-50 წუთის განმავლობაში. კურკაგამოცლილ ალუბალს დააყარეთ შაქარი და დაასხით დარჩენილი ნახევარი ლიტრი წყალი. დადნება თუ არა შაქარი წამოდუღებისთანავე გადმოდგით და მდუღარე წვენი (უალუბლოდ) დაასხით დამდნარ ჟელატინს, აურიეთ კარგად, დაამატეთ ლიმონმჟავა და 5 წუთით ისევ შედგით ცეცხლზე, ფორმებში ჩაასხით ისეთივე წესით, როგორც ხენდროს ჟელე.

## მოცხარის ჟელე უჟელატინოდ

ორ ჭიქა მოცხარის წვენს დააყარეთ ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი და შედგით ცეცხლზე (თასი აიღეთ ცოტა მოზრდილი, ქაფი რომ არ გადმოვიდეს), როგორც კი წამოდუღდება და ქაფს მოიყენებს მაშინვე გადმოდგით ცეცხლიდან, 15 წუთის შემდეგ მოქაფეთ და ისევ შედგით ცეცხლზე. ქაფის ხელმეორედ წარმოქმნისას ისევ გადმოდგით 15 წუთით და ისევ მოხადეთ ქაფი. ასე განაგრძეთ ვიდრე მთლიანად არ გაქრება ქაფი და ჟელეც მზად იქნება.

ქ. თავართქილაძე

---

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93- 25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 06. 07. 89 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 08. 89 წ. ქაღალდის ზომა 60+90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 173.000. შეკვ. 1628. უე 04682 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.

# იაპონელებს მოეწონათ

„არასოდეს მიფიქრია, რომ დიზაინერები საბჭოთა კავშირში ქმნიან ასეთ კარგ ნივთებს, — აღიარა მომხიბლავმა ტოკიოელმა მემანეკენე ქალიშვილმა ერიკო კუსუდა კორმა. — სასურველია უფრო მეტი იაპონელი გაეცნოს მათ ნაწარმს და შეიძინონ სასურველი მოდელი. ახლა არის ასეთი საშუალება, ამიტომაც მოხარული ვარ, რომ მე რეკლამას გავუწევ მათ ნახელავს.

მოსკოვის მოდელების სახლის კაბა ტანწერწეტა კუსუდა-სანს ძალზე მოუხდა. ამიტომაც მან იაპონიაში სარეკლამოდ საბჭოთა მოდელიერთა ნაწარმი აირჩია. იაპონიაში საბჭოთა მოდელიერთა ტანსაცმლის ჩვენების იდეა დაიბადა ამას წინათ იაპონიაში მოწყობილი საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობის დროს, რომელზეც მოსკოვის მოდელების სახლს წარმოდგენილი ჰქონდა თავისი კოლექცია. შუამავლობა იკისრა იაპონიის კომპანია „ამზიკუსუმ".

კოლექციაში შევიდა მოსკოველ მოდელიერთა (მხატვრული ხელმძღვანელი ვ. შვეცოვა) ჯგუფის მიერ შესრულებული ნაწარმი, რომელთა შექმნისას გამოყენებული იყო ვოლოგდური მაქმანი.



ერიკო კუსუდა (ცენტრში) მოსკოველ მემანეკენეებთან


76178
6271/144

ფასი 30 კაპ.